რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 20 თებერვალი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 41 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 41

ქ. ალექსანდროპოლის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაცია უღრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს მუშათა კლასის დაუღალავ მებრძოლის ამხ.

ევგენი მიხეილის ძე ასრიბეკოვის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 14 თებერვალს ს. მოლამესის ახლო ალექსანდროპოლის რაიონში. დაკრძალვა მოხდება ქ. ალექსანდროპოლში. მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან დილის 12 საათზე.

ქ. ალექსანდროპოლის რკინის-გზის მუშათა წითელი გვარდია უღრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობთ, ძვირფასი ამხანაგის

ევგენი მიხეილისძე ასრიბეკოვის

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

ქ. ალექსანდროპოლის მუშ. ჯარის.კ. და გლეხთა საბჭოების განსაკუთრებული კომისია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ძვირფასი ამხანაგ—თავმჯდომარის

ევგენი მიხეილის ძე ასრიბეკოვის

ტრაღიკულ გარდაცვალებას. (3—1)

ალექსანდროპოლის კონდუქტორების პროფესიონალური კავშირი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს დაუვიწყარი ამხანაგის

ევგენი მიხეილის-ძე ასრიბეკოვის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მამა გიორგი, მეუღლე ირინე, დები ქსენია, სანდა და სუსანა, ბიძა ქიშვარდი, ბიცოლა ბულბული, ბიძაშვილები ვანო და აპოლონ რამიშვილები ვაუწყებთ ნაცნობ მეგობრებს, რომ 13 თებერვალს ქუთაისში ტრაღიკულათ მოკლული იქნა თავისუფლებისათვის მებრძოლი წითელ რაზმელი

ერმი გიორგის ძე რამიშვილი.

რომლის დაკრძალვა მოხდა კვირას, 18 თებერვალს ს. ქვემო სურებში.

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: აბრამი და ლიზა, და-ძმა: ვასო და სალომე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ტრაღიკულ გარდაცვალებას, პირველთა შვილისა და მეორეთა ძმის

იოსებ აბრამის ძის გარსევანიძისას.

გამოსვენება მოხდება 20 თებერვალს დილ. 10 საათ. თავის ბინიდგან, კირპიჩნი შესახვევი № 12, დაკრძალავენ წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

თფილისის შოფერთა პროფესიონალური კავშირი აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 16 თებერვალს, ტრაღიკულად დაიღუპა ამხანაგი

იოსებ აბრამის ძე გარსევანიძე.

გამოსვენება 20 თებერვალს, დილის 9 საათზე (კირპიჩნ. ქუჩის შესახვევი, ბაქრაძის სახლი), წირვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, ხოლო დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

გულდაწყვეტილნი მასწავლებლები და მოწაფეები ხაშურის სავაჟო გიმნაზიისა გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს ადგილობრივ გიმნაზიაში ახლათ სწავლა დამთავრებულის სტუდენტის

დათიკო ნესტორის ძე ჯაფარიძის

ტრაღიკულ გარდაცვალებას. გამოთხოვების დღე დანიშნულია სამშაბათს, 20 თებერვალს.

ღრმათ დამწუხრებულნი: კესა, მიხაკო და ანეტა გოგიტაურები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი

ნესტორ ექვთიმეს ძე გოგიტაურის

გარდაცვალება. მიცვალებულს გამოასვენებენ თფილისიდან 18 თებერვალს, დაკრძალვა მოხდება ს. ბასილეთში სამშაბათს 20 თებერვალს.

ღრმად დამწუხრებულნი: ნინო გიორგის ასული, თამარ და ეთერ მიხეილის ასულნი, დედა, დები დ ძმანი აუწყებენ ნათესავთ დ ნაცნობთ პირველი უძვირფასეს მეუღლის, მეორენი საყვარელ მამის და დანარჩენი დაუვიწყარ ძმის

მიხეილ ადამის ძის ვარსიმაშვილის

ტრაღიკულ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ სახლიდან მოხდება სამშაბათს 20 თებერვალს 10 საათზე. ტუხჩოვის ქუჩა № 12. დაკრძალვა მოხდება წმიდა მარიხის ეკლესიაში.

ბრესტის ზავის პირობები

ბოლშევიკებმა ბრესტ-ლიტოვსკში სამშობლო გაჰყიდეს. მათ რუსეთი გერმანია-ავსტრიის იმპერიალისტების კოლონიათ გადააქციეს. მაგრამ ისინი ამით არ დაკმაყოფილდნენ და ამიერ-კავკასიის ბედიც თავისებურათ გადასწყვიტეს. ბრესტიდან მოსულ რადიოტელეგრამის ცნობით, ბოლშევიკების რწმუნებულებმა ამიერ-კავკასიის დიდ მნიშვნელოვანი ადგილები, როგორიც არის ბათუმი, ყარსი და არდაგანი ოსმალეთს გადასცეს და ასეთ სამარცხვინო ზავის პირობას ხელი მოაწერეს.

დასახელებულ ადგილების გადაცემა—ეს ამიერ-კავკასიის და მთელი კავკასიის ოსმალეთის პროვინციათ გადაქცევას ნიშნავს. აქ იმაზე ლაპარაკი მეტია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზევით დასახელებულ ადგილებს ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა არსებობისათვის. შეიძლება ეს მხოლოდ ბოლშევიკების ავანტიურისტ დელეგატებისათვის არის გაუგებარი, შეიძლება მათ არ ესმოდეთ ამ ადგილების ამიერ-კავკასიისთვის მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენ კი კარგათ ვითვალისწინებთ, რომ ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოსმალეთის ხელში გადასვლა საბოლოვოთ სწყვეტს ამიერ-კავკასიის ბედს. და თუ ბოლშევიკებმა ასეთ ზავის პირობებს ხელი მოაწერეს, ეს ქნეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთ ფრაქციული ბატონობა უზრუნველეყოთ. რუსეთის და ამიერ-კავკასიის ინტერესები ლენინ-ტროცკის ბატონობას მსხვერპლათ შესწირეს და მით ორივე მხარე სამარცხვინოთ გაჰყიდეს.

უფრო ცუდ მდგომარეობაშია ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი, ვინაიდან აქ ეკონომიური ბატონობის მაგიერ პოლიტიკური დესპოტიზმი განმტკიცდება და მთელ ჩვენ თავისუფლებას საბოლოვოთ ბოლო მოეღება.

მაგრამ ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი ასეთ სასიკვდილო განაჩენს ხელს ვერ მოაწერს, ასეთ სამარცხვინოთ გაყიდვას არ დაეთანხმება.

ჩვენ დღიდან ბოლშევიკების გაბატონებისა, პეტროგრადის „მთავრობას" არ ვცნობდით და არც ასეთ ზავის პირობებს ვიცნობთ. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ოსმალეთთან სეპარატიული ზავი შევკრათ და სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკა ვაწარმოვოთ. ამიერ-კავკასიის მცხოვრები განურჩევლათ ეროვნებისა და რწმენისა მთელი საუკუნოების განმავლობაში ერთმანეთთან ეკონომიურათ, პოლიტიკურათ და საზოგადოებრივათ მჭიდროთ დაკავშირებულია, ძველ საზღვრებში ყოფნა და განვითარება ჩვენი მომავალი ცხოვრების უზრუნველყოფლობისათვის აუცილებელი საქმეა და ვინც ასეთ ურთიერთობას დაგვიშლის, ის მთელ ჩვენ ცხოვრებას მოშლის და ყოველ მხრივ გადაგვაგვარებს. რა ვუყოთ, რომ ამიერ-კავკასიაში ოსმალეთის მოდგმის ხალხი სცხოვრობს და ამ ხალხის ერთი ნაწილი ოსმალეთის ორიენტაციის მომხრეა და ოსმალეთთა ცხოვრებას ეტრფის. საერთოთ კი ხალხის დიდი უმრავლესობა ძველ საზღვრებში დარჩენის მომხრეა და ამ საზღვრებში მცხოვრებნი ხალხი ყოველ მხრივ მჭიდროთ შეკავშირებულნი არიან. ვინ იტყვის, რომ შვეიცარიის გერმანელები, ან ფრანგები გერმანელებთან, ან ფრანგებთან ცხოვრებას მოინდომებდენ და ამ გზით დაშლიდენ შვეიცარიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. ასეთი ტენდენცია შვეიცარიის ხალხში არ არსებობს და ფართო დემოკრატიაში ადგილიც არ ექნება.

ჩვენში მით უმეტეს, როცა ჩვენი მეზობელი იმპერიალისტური სახელმწიფო—ოსმალეთი—ეკონომიურათ, პოლიტიკურათ მეტათ ჩამორჩენილია და მის ბატონობის ქვეშ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა დაყენება, ჩვენ გადაგვარებას მოასწავებს.

ამ სახით ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი მწარე სინამდვილეს წინაშე დავდექით და წინ ყოფნა არ ყოფნის საკითხი გვიდგას. გამოსავალი გზა ერთია: ჩვენ იძულებულნი ვართ უკიდურეს შემთხვევაში დამოუკიდებლათ თავი გამოვაცხადოთ, ცენტრალურ სახელმწიფოების კოალიციიდან საკუთარი ზავის პირობები მოვითხოვოთ. ჩვენ ასეთ სამართლიან მოთხოვნას ისინი ანგარიშს გაუწევენ და, შესაძლებელია, ჩამოვაგდოთ ისეთი ზავი, რომელიც ძველ საზღვრებს უზრუნველჰყოფს და მით ჩვენს თავისუფლებას და ეკონომიურ განვითარებას მტკიცე საძირკველს ჩაუყრის.

უკიდური განსაცდელი

იცის თუ არა ჩვენმა დემოკრატიამ, რა უბედურება მოელის მას? გრძნობს თუ არა ჩვენი ხალხი მთელი თავისი არსებით, რომ მას ემუქრებიან ახალი მონობით? აძლევს თუ არა ანგარიშს თავის თავს ყველა პატიოსანი რევოლიუციონერი, ყველა სოციალისტი განურჩევლათ მიმართულებისა, იმ საშინელი საფრთხის გამო, რომელსაც უმზადებენ მთელი რუსეთის და კერძოდ კავკასიის დემოკრატიას? გესმით, მეგობრებო, რომ ვიღაც კარახანმა (ბოლშევიკების ელჩმა) რუსეთის დანაწილების შემდეგ ამიერ-კავკასიის დაყოფასაც შეუდგა და ოსმალეთს გადასცა ბათუმის, არდაგანის და ყარსის ოლქები? რას ნიშნავს ეს? ამიერ-კავკასიის დემოკრატიის სიკვდილს.

როდესაც ვასკო დე-გამამ დიდ ოკეანეზე ახალი გზა აღმოაჩინა, ფლორენციის ხალხი ქუჩაზე გამოვიდა და ტირილით შეხვდა ამ განსაცდელს. მათ იგრძნეს, რომ იტალიის მშვენიერი ქალაქები განადგურდებოდენ, მათი ალებ-მიცემობა დაეცემოდა, მათი კულტურა მოისპობოდა. ასეც მოხდა. ყარსის და ბათუმის ოლქს არდაგანითურთ ოსმალებს აძლევენ ბოლშევიკები. ვისაც ეს ადგილები უჭირავს, ის ბატონია მთელ ამიერ-კავკასიაში. ბათუმი კავკასიის რევოლიუციის სიმბოლოა, მისი ერთ-ერთი აკვანია. იქ მაგრდებოდა დემოკრატია. თავისუფლების ზარი აქ რეკავდა და უხმობდა დასავლეთ კავკასიის მშრომელებს. როგორც შილლერის ზარს, მას ქონდა წარწერა: ვიგლოვ მკვდრებს, ვეძახი ცოცხლებს, ვაგდებთ მეხს. კავკასიის დემოკრატიამ იგრძნო ის ძახილი და მთელი თავისი არსებით პროტესტი გამოაცხადა უტიფარ ძალადობის წინააღმდეგ. ადგილობრივმა მთავრობამ და სეიმმა მიმართა მთელ ქვეყანას რადიოტელეგრამით: „ჩვენ არ ვცნობთ ბოლშევიკების მიერ მიღებულ პირობას ამიერ-კავკასიის შესახებო". გავჩუმებულიყავით? რას იტყოდა დემოკრატია? რას იტყოდა ჩვენი ხალხი, როდესაც ის გამოერკვეოდა დღევანდელ ბურუსიდან და დროებითი დაღალვას თავს დააღწევდა? სოციალისტები, მოწინავე აზრის მატარებლებია, ის მომავალი წყობილების ბურჯის, მუშების პარტიაა. ნუ თუ ჩვენ შეგვეძლო აჰყოლოდით დაღალულებს, დავრდომილებს და სულიერად დაცემულ წრეებს გავყოლოდით. პირველი ნაბიჯი გადადგმულია. ჩვენ არ ვცნობთ ბოლშევიკების ხელშეკრულობას ჩვენ არ ვადასტურებთ ყარსის და ბათუმის დათმობას. თუ დავინახეთ, რომ ამიერ-კავკასიის დასახსნელად საჭიროა მისი დამოუკიდებლობის გამოცხადება, ამ ზომასაც მივმართავთ. სჯობია მთელი ამიერ-კავკასია ერთად ჩაუვარდეს რომელიმე სახელმწიფოს, ვიდრე ის დარჩეს თავ-მოკვეთილი. სხვისი ბატონობის დროს საერთო განთავისუფლების იმედი მაინც დარჩება. ხოლო კავკასია, ბათუმი და ყარსს მოკლებული, რამოდენიმე წელიწადში უდაბნოდ გადაიქცევა. ჩვენი დასტურით ასეთ უდაბნოში არ გვინდა ცხოვრება. რუსეთს შორდებითო? შეგვეკითხებიან. ჩვენ ეს არ გვინდა. მივმართავთ ჩრდილოეთის რევოლიუციონერებს და ვეუბნებით უკანასკნელად: გონს მოდით, ნუ ღუპავთ რუსეთის რევოლიუციას, ნუ ღუპავთ ჩვენს დემოკრატიას. მაგრამ თუ ბოლშევიკებს სურთ რუსეთის დაღუპვა და ხელს აწერენ მის დაყოფას, ჩვენ ვერ მოვაწერთ ხელს ამიერ-კავკასიის დაშლას.

დემოკრატია განსაცდელშია. თანამოაზრეების ვალდებულებაა ეს უთხრან ხალხს. ვეძახით ცოცხლებს, მკვდრებთან საქმე არა გვაქვს.

ბიკტორ თევზაია.

პრესა

სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენელს გ. ლასხიშვილს სეიმში არაფერი უთქვამს დღეებით პროგრამის შესახებ. ეს მოვლენა ნიშნავს ამ პარტიის სრულ პოლიტიკურ სიკოტრეს. ასე გვესმოდა ჩვენ ეს ლასხიშვილის გამოსვლის დროს და ასე ესმის ყველა მომქმედ პარტიას და ადამიანს. „სახალხო საქმე" კი ფიქრობს, რომ ეს ფედერალისტთა პარტიის ღირსებაა. ის სწერს:

„ეს გარემოება შემთხვევითი ხასიათისა არ არის. წმინდა პრაქტიკული საალმშენებლო მუშაობა უნდა ეკუთვნოდეს არა ამიერ-კავკასიის სეიმს, არამედ იმ პარლამენტებს, რომლებიც ეროვნულ-ტერიტორიალურ ერთეულებში აღმოცენდება".

ამ რიგათ, ფედერალისტების აზრით, სეიმმა თავი უნდა დაანებოს „საალმშენებლო მუშაობას" და ეს საქმე ეროვნულ პარლამენტებს გადასცეს.

მაშ რა უნდა აკეთოს სეიმმა? იკითხავს მკითხველი. ამაზე „სახალხო" გვეუბნება:

„ამიერ-კავკასიის სეიმმა მხოლოდ ნიადაგი უნდა მოუმზადოს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიებს და შემდეგ ადგილი დაუთმოს ფედერალურ საბჭოს. სეიმის კანონმდებლობა მთელი ამიერ კავკასიისთვის ისევეა წარმოუდგენელი, როგორც წარმოუდგენელი იქნება დღევანდელ პირობებში პეტროგრადის პარლამენტის კანონმდებლობა მთელი რუსეთისთვის. ამიტომ ჩვენის აზრით სეიმის მუშაობა უნდა განისაზღვროს იმ საკითხებით, რომლებიც მომენტმა წარმოშვა და რომელთაც საერთო საამიერ-კავკასიო მნიშვნელობა აქვს. ასეთი საკითხებია ზავი, მტკიცე მთავრობის შექმნა და ეროვნულ - ტერიტორიალური გადამიჯვნა".

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ სეიმი არ უნდა შეეხოს იმ საკითხებს, რომელთაც მნიშვნელობა არ აქვს მთელი ამიერ-კავკასიისთვის. ისიც კარგათ გვესმის, რომ არც ფედერალისტებს და არც ნაციონალ-დემოკრატებს მნიშვნელოვან კითხვათ არ მიაჩნიათ, მაგალითად, მიწის საკითხი. მაგრამ სად არის ლოღიკა, როცა ფედერალისტები ერთის მხრით სეიმს მარტო გადამიჯვნის და ზავის საქმეს აკისრებენ და მეორე მხრით კი მაგარ მთავრობის შექმნას სთხოვენ? როგორ შეუძლია მაგარი მთავრობა შექნას ისეთმა დაწესებულებამ, რომელიც მარტო გადამიჯვნისთვის არსებობს. ჩვენ დიდი იჭვები გვაქვს—ესმის თუ არა „სახალხო"-ს რას ნიშნავს მთავრობა.

გარდა ამისა ჩვენ მედგარი დამცველი ვართ ეროვნული თვითმართველობის, მაგრამ რათ უნდა დავარღვიოთ ამიერ-კავკასიის მთლიანობა, როცა ისტორიულათ ისეთს პირობებში ვცხოვრობთ, რომ ამიერ-კავკასია ცალკე სახელმწიფო ორგანიზმათ უნდა გადაიქცეს. ესმის თუ არა „სახალხო საქმე"-ს და ჩვენს ფედერალისტებს, რომ ამიერ-კავკასიის სეიმის მოსპობა თათრის ბეგ-აღალარების სურვილია?

* * *

„ვოზროჟდენიე"-მ ჩვენი შენიშვნა ისე გაიგო, როგორც თავის მართლება. ასე იქცევა ჩვეულებრივ ყველა „ხრიკმეისტერი". ჩვენ განვმარტეთ, რომ ბ. თუმანოვის პროვოკაციული წერილი სომხების შესახებ შესაფერათ დავაფასეთ და მის ავტორსაც ღირსეული ალაგი მივუჩინეთ. ეხლა „ვოზროჟდენიე" გამომდგარა და ჩხეიძის ავტორიტეტს ეყრდნობა, რომელმაც ბ-ნ გვაზავას წესიერებისაკენ მოუწოდა ტრიბუნიდან სიტყვა „ხულიგან"-ის ხმარების გამო. მერე რა გამოდის აქედან? განა ჩვენ დავწერეთ სადმე თუმანოვი ხულიგანიაო? რაკი „ვოზროჟდენიე"-ს თავისი მკითხველები შეცდომაში შეყავს საჭიროთ ვთვლით მოვიყვანოთ ჩვენი ნათქვამი ერთობის № 35 ში.

„როცა არსებული მდგომარეობის გამო სომხის დემოკრატიის ბედი ისედაც განსაცდელშია, **ვინ შეუძლია თუ არა აშკარა ხულიგანს**, ეს დემოკრატია თათრის ხალხის წინაშე დააბეზღოს". (ხაზს ეხლა ვუსვამთ).

აი ასე დავახასიათეთ ჩვენ ბ. თუმანოვის წერილი და თუ აქედან თუმანოვმა შესაფერი დასკვნა გამოიყვანა, ეს საბუთების ბრალია და არა ჩვენი: ჩვენ ბ. თუმანოვი არ გაგვილანძღავს.

რაც შეეხება ბ. თუმანოვის ცდას დაამტკიცოს, რომ ვითომ პარტიის ლიდერები სხვაა, ხოლო „ერთობის" ხელმძღვანელები კი სხვა, ამაზე უნდა მოვახსენოთ ის, რომ „ვოზროჟდენიე" და მისი ხელმძღვანელი ბ. თუმანოვი „საკუთარი ადლით" ზომავენ და ჩვენი რა ბრალია, თუ მათი ადლი, როგორც ყოველთვის, აქ ბრუდეა.

⁂

გაზ. „მშაკი" ამიერ-კავკასიის სეიმის 15 ამა თვის სხდომაზე წაკითხულ დეკლარაციების შესახებ გამოსთქვამს საერთოდ თავის აზრს და ხაზგასმით ჩერდება მენშევიკურ დეკლარაციაზე.

„მაგრამ, სწერს ის—ყველაზე უფრო, მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ს.-დ. მენშევიკების ბელად ნ. ჟორდანიის სიტყვამ, რომელმაც აღელვებით სთქვა:

„იმისთანა სასირცხვილო ზავის შეკვრა ოსმალეთთან, როგორიც იყო ლენინისა გერმანიასთან, ამიერ-კავკასიას არ შეუძლიან, სჯობიან პატიოსანი სიკვდილი, ვინემ ამისთანა ზავი".

საზოგადოდ, განაგრძობს გაზეთი, ის, რაც გამოსთქვა ნ. ჟორდანიამ, რომელიც ღრმა და დარწმუნებული სოციალისტია, ორის ხელით შეუძლიან მოაწეროს ყველა პროგრესისტ და თავისუფლათ მოაზროვნე ადამიანს".

რაც შეეხება ერთფეროვან სოციალისტურ მთავრობის შედგენის საკითხს, რომლის მომხრეთ ესერებთან ერთად გამოვიდა დაშნაკცუთიუნიც, ამის შესახებ გაზეთი ამბობს:

„ამას მიემხრო დაშნაკცუთიუნიც რომელსაც ალბათ ავიწყდება ის გარემოება, რომ მისი სოციალისტობა იმყოფება დიდ ეჭვების ქვეშ და შეიძლება ამ რიგად ის კიდევაც დარჩეს მთავრობის შემადგენლობის გარეთ".

დასასრულ გაზეთი ეხება რა ზავის შესახებ პარტიების მიერ გამოთქმულ აზრებს და „ითთიჰატის" შესახებ შემდეგ აზრს გამოსთქვამს:

„ყველა წარმოთქმულ სიტყვებში ძლიერი დისონანსი გაისმოდა „ითთიჰატის" განცხადებაში ინგლისის იმპერიალისტურ და აგრესიულ პოლიტიკის შესახებ, გერმანიის იმპერიალიზმის შესახებ კი არაფერი უთქვამს მას".

ამავე საკითხებს ეხება გაზ. „ჰორიზონიც":

„15 თებერვლის სხდომაზე წაკითხულ დეკლარაციების შესახებ,—ამბობს გაზ. ბევრის თქმა შეგვეძლო, მაგრამ დღეს ჩვენ მიზნათ არ დაგვისახავს გაკრიტიკება, არამედ რამდენიმე სიტყვა გამოთქმულ აზრების ზოგიერთ ნაწილის შესახებ.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ იმისთანა ძირითადი საკითხი, როგორიცაა რუსეთის და ამიერ-კავკასიის დამოკიდებულების საკითხი დარჩა გამოურკვეველი. იმ დროს, როცა ესერებმა და დაშნაკელებმა გარკვევით დასვეს ფედერატიულ რუსეთის და ამიერ-კავკასიის მისი ერთი ნაწილის შედგენის იდეა, მენშევიკების ლიდერი ამტკიცებდა, რომ რუსეთი მოშორებულია ჩვენგან და ჩვენ დარჩენილი ვართ დამოუკიდებლათ.

„შესანიშნავი იყო პარტიების პოზიციები სოციალისტურ რეფორმებისადმი, ყველას სოციალისტებათ მოჰქონდა თავი. ყველანი, ნაციონალ-დემოკრატებიც კი ლაპარაკობდენ დემოკრატიის სახელით და იცავდენ მშრომელთა ინტერესებს, მიწას აბარებდენ გლეხობას და საზოგადოთ გადაქცეულიყვენ წითელ სოციალისტებათ".

გაზეთის აზრით, მიუხედავათ წარმოთქმულ სიტყვებისა და დემოკრატიულ ლოზუნგებისა, გარკვევით არ შეიძლება რამის თქმა არც პარლამენტარულ უმრავლესობის, არც მომავალ მთავრობის შემადგენლობის შესახებ. ალბათ მუშაობის პროცესში გამოირკვევა ყველა ეს საკითხი.

ჩვენ ერთი ვერ გაგვიგია: როგორ მოახერხებს დაშნაკცუტიუნი რუსეთს ფედერატიულათ დაუკავშირდეს დღევანდელ პირობებში.

როგორი ხალხი მეთაურობს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს

ამ რამდენიმე დღის უკან, როცა ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი სეიმს ადგილობრივ მთავრობის მოქმედების ანგარიშს აძლევდა, მან ბოლშევიკებს შესახებ აღნიშნა, რომ მათ მეთაურებათ გამოდიან ბნელი პირები, სხვათა შორის გე-

გექკორმა გამოაქვეყნა გორის ბოლშევიკურ კომიტეტის ქაღალდი, რომელშიაც აღნიშნული იყო, თფილისელ ბოლშევიკებთან გაგზავნილი, რომ გორის ქართული პოლკი მზათ არის გამოსასვლელათ და ითხოვდენ ინსტრუქტორის გამოგზავნას. ქაღალდს ხელს აწერდა კომიტეტის თავმჯდომარე **შატუნოვი**, აქამდე ცნობილი როგორც წვრილი მოხელე. გორში ინსტრუქტორის ჩასვლას რა მოყვა, ჩვენ უკვე ვიცით. სხვათა შორის დატყვევებულ იქნა კომიტეტის თავმჯდომარე შატუნოვი. ციხიდან ეს შატუნოვი გორის მუშათა საბჭოს განთავისუფლებას თხოვს და აღნიშნავს თავის „მოღვაწეობას". სხვათა შორის ალსანიშნავია ის, რომ ეს მოძრაობის „ხელმძღვანელი" **თავის თავს ბრბოს მსხვერპლათ თვლის**. ეს თხოვნა იმდენათ საინტერესოა, რომ ჩვენ საჭიროთ ვთვლით მის უცვლელათ დაბეჭდვას. აი ეს თხოვნაც.

ქალაქ გორის მუშათა დეპუტატების საბჭოს.

ანტონ ანდრიას ძე შატუნოვის თხოვნა.

ამ წლის 7 თებერვალს მე დამაპატიმრეს ბინაზე ქ. გორში, რადგან რაიმე დანაშაულობაში წილი არ მიდევს, ჩემი დაჭერის ერთად ერთ მიზეზათ ვთვლი იმ გარემოებას, რომ მე რ. ს. დ. მ. პ. ადგილობრივ ბოლშევიკების ორგანიზაციას ვეკუთვნი. აღნიშნულ ორგანიზაციას მივემხრე წმინდა იდიურ რწმენით და ვმუშაობდი სრულის გულწრფელობით და ნდობით იმათდამი, ვინც პარტიას თანაგრძნობას უცხადებდა. თებერვლის რევოლიუციამდე მე თითქმის სავსებით განცალკევებული ვიყავი საზოგადოებისაგან, რომელშიაც არ შემეძლო ტრიალი, რადგან ჩემი რწმენა მაშინდელ ცხოვრების ფორმას ვერ ურიგდებოდა; ამიტომ ვცხოვრობდი რა ბუნებასთან დაახლოვებული საზოგადოების წევრებს ნაკლებათ ვიცნობდი და ყველას სრულის გულწრფელი ნდობით შევყურებდი. ჩემი ცოტა ხნით ციხეში ყოფნის დროს როგორც მიმდინარე საქმეებიდან აგრეთვე ციხეში გაგებულ ცნობებიდან დავრწმუნდი, რომ ბოლშევიკების სახელით თავს იფარავდენ ბევრი ბნელი პიროვნებები, რომელნიც ჩემი წმინდა იდეიურ სოციალიზმის ქადაგებიდან ამზადებდენ თავისთვის მოხერხებულ დროს, რომ არევ-დარევა თავისი ბნელი მოქმედებისთვის გამოეყენებიათ, რაც მათ მართლა სისრულეში მოუყვანიათ.

ამ ნაირათ, ჩემი იდეიური რწმენა მსხვერპლი გახდა სრულიათ განუვითარებულ მასისა და ახლა მე საბოლოვოთ ვრწმუნდები, რომ ბოლშევიზმის სოციალისტურ იდეების შესათვისებლათ აქ ჯერ სრულიად არ არის ნიადაგი მომზადებული და რომ მისი განვითარება დღეს ვერ გამოიღებს დადებითს შედეგს, არამედ მას შეუძლია მხოლოდ საზრდო მისცეს ბნელ მასას არა-კეთილ საქმეების გასაკეთებლათ.

ამიტომ ხელს ვიღებთ რა აქტიურ საორგანიზაციო მუშაობაზე, გთხოვთ დარწმუნდეთ ჩემი განცხადების სრულ გულწრფელობაში და იშუამდგომლოთ ვისთანაც ჯერ არს, რათა მე ბნელ მასის მსხვერპლს დამიბრუნდეს წართმეული თავისუფლება ამხანაგ მარკოზ ჩლაიძის, ივანე ქერეჟაშვილის და სხვ. თავდებობით.

ანტონი შატუნოვი.

ბოლშევიკები და ამიერ-კავკასია

17 თებერვალს ბათუმიდან თფილისში შემდეგი ცნობა მოვიდა: დღეს დილის 4 ს. 30 წ. მივიღეთ ბრესტ-ლიტოვსკიდან პეტროგრადში გაგზავნილ რადიოტელეგრამის ნაწილი: „წამოგვიყენეს ულტიმატიური ვადა. ამის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ გერმანელებმა უარი სთქვეს სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე, სანამ ხელს არ მოვაწერთ ხელშეკრულობას, ჩვენ გადავსწყვიტეთ ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულობას, რომელსაც ახლა ვარჩევთ. გამოგზავნეთ მატარებელი, ხვალ მოვაწერთ ხელს და წამოვალთ. ყველაზე უფრო სერიოზული მსჯელობა 21 თებერვალს გამოიწვია იმ მუხლმა, რომელიც ეხება რუსეთიდან ერთა თვითგამორკვევის სახით არდაგანის, ყარსის და ბათუმის ოლქების ჩამოშორებას.

კარახანი".

ზავის გარშემო

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა 11 ხმით (?) 35-ის წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავა) დაადგინა: მიიღოს ჯერ გაუგონელი მძიმე საზავო პირობები, რომლებიც ულტიმატიურათ წამოგვიყენა გერმანიის მთავრობამ; ამან კიდევ უფრო მძიმე საზავო პირობებში ჩაგვაგდო. ორ კვირის შემდეგ საზავო პირობები საბოლოოთ უნდა იქნას დამტკიცებული ორივე მხარეს მიერ.

სამხედრო-რევ. კომიტეტში კენჭისყრამ, ადგილობრივ საბჭოების გამოძახილმა, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ტელეგრაფით შეკითხვამ გამოაშკარავა, რომ საბჭოს წევრთა შორის დიდი უთანხმოება არის. რუსეთის რევოლიუციის ამ ძირითად საკითხის შესახებ ამხანაგების ერთი ნაწილი მოითხოვს საზავო პირობებზე ხელის მოწერას, რათა ამით, უდიდეს დათმობათა ფასით, ცოტათი დავისვენოთ; ამით ისარგებლებს რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატი, რათა ძალ-ღონე მოიკრიბოს უკეთეს პირობებში იმპერიალიზმთან საბრძოლველათ. მეორე ნაწილი მოითხოვს ნუ მოვაწერთ ხელს საზავო ხელშეკრულებას და ახლავე ომი გამოუცხადოთ გერმანელ იმპერიალისტებსო. საზავო პირობებში რუსეთის რევოლიუციის ჩახშობა და საერთაშორისო რევოლიუციის ლახვარის ჩაცემაა. ასეთ პირობებში აღნიშნულ საკითხის გადასაჭრელათ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროთ სცნობს მოიწვიოს მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და ყაზახთა დეპუტატების საბჭოთა სასწრაფო ყრილობა. ყრილობა დანიშნულია ქ. მოსკოვში 12 მარტს. ცნობებისათვის უნდა მიმართონ მოსკოვის დეპუტატთა საბჭოში, ყრილობის მომწვევ ცენტრ. აღმ. კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროში. წარმომადგენლობის ნორმა ისეთივეა, როგორიც მე-2 და მე-3 მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა და მე-2 გლეხთა დეპუტატების ყრილობაზე იყო.

სრულიად რუს. ცენტ. აღმ. კომ.

2 მარტი (ახ. სტილი) 1918 წ.

ბრესტ-ლიტოვსკი. 2 მარტი (ახ.სტ.) საღამოს 9 ს. 15 წ. „პეტროგრადში, სახალხო კომისართა საბჭოს. გუშინ რუსეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი უარს აცხადებს წარმოდგენილ საზავო პირობების განხილვაზე, ვინაიდან სამხედრო მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ ისევ გრძელდება. მიუხედავათ იმისა, რომ საზავო დელეგაციის მუშაობა განახლდა, რუსეთის დელეგაციის მოთხოვნილება სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ უარყოფილ იქნა. ასეთ პირობებში საზავო მოლაპარაკების გაგრძელება არის ულტიმატუმი, რომელსაც გერმანია პირდაპირ სამხედრო ძალით იცავს. რუსეთის დელეგაცია განუხილავათ აწერს ხელს გერმანიის მიერ ნაკარნახევ საზავო პირობებზე. ამასთანავე იგი მოვალეობათ სთვლის შეატყობინოს რუსეთის და მთელი ქვეყნის მუშებს და გლეხებს ამის შესახებ მთელი სიმართლე და გადასცეს ყველაფერი მომხდარი მათ მსაჯულების განკარგულებაში. საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა რუსეთსა და გერმანიას და მის მოკავშირეთა შორის მოხდება 3 მარტს (ახ. სტ.).

სოკოლნიკოვი, პეტროვსკი, ჩიჩერინი.

პეტროგრადი. რადგან გერმანიის მტაცებლები განაგრძობენ პეტროგრადისკენ წამოსვლას სახალხო კომისარების საბჭომ დაადგინა განაგრძოს მთელი ძალ-ღონით თავდაცვა და ევაკუაცია. მიიღეს საჭირო ზომები აფეთქებულ იქნას ყველაფერი, რის გატანასაც ვერ მოასწრებენ პეტროგრადიდან. თუ იქ ნემცები მოვლენ, არ უნდა ჩაუვარდეთ მათ ხელში არც ერთი იარაღი, არც ერთი ყუმბარა, არც ერთი გირვანქა სპილენძი, არც ერთი ნამცეცი პური, იმ დაწესებულების უფროსი, რომლის მიზეზით მტერს ხელში ჩაუვარდება რაიმე, იქვე უნდა დახვრიტონ.

სახალხო კომისარების საბჭო.

გერმანიის სამხედრო მთავრობამ უკრაინის დელეგაცია გააჩერა პსკოვში 4 დღე და შემდეგ უარი უთხრა ბრესტში გაშვებაზე, რომ აღიარებია უკრაინის ძველი მთავრობა, ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიას უნდა წაიღოს ჩვენი პური, მთელი ჩვენი სიმდიდრე. დასავლეთიდან შემოტევა უკრაინის მუშათა და გლეხთა დაღუპვას მოასწავებს. ამიტომ მთელი ძალ ღონე უნდა ვიხმაროთ და დავიცვათ უკრაინა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და არ მივსცეთ ის საძიძგნათ გერმანიის მტაცებლებს.

უკრაინის დელეგაციის წევრნი: ზატონსკი, ნერატკიჩი, ტერლიაცკი და დუდენკო.

პეტროგრადი. დღეს, დილის 7 საათზე ოფიციალური ცნობა მივიღეთ, რომ ჩვენმა დელეგაციამ გუშინ, 3 მარტს, საღამოს 5 ს. ზავის პირობებს ხელი მოაწერა. დელეგაცია ეხლა გზაშია. ზავის პირობების ტექსტი დელეგაციის დაბრუნებისთანავე გამოქვეყნდება. პირობების უკანასკნელი დამტკიცება მოხდება 17 მარტს (ახ. სტ.) იმისდამიხედვით მუშათა, გლეხთა და ყაზახთა დეპუტატების საბჭოს სრულიად რუსეთის ყრილობის გადაწყვეტილებისა, რომელიც მოხდება მოსკოვში 12 მარტს.

ლენინი და ტროცკი.

გერმანელების შემოტევა

სევასტოპოლიდან მოვიდა გერმანელების შემდეგი რადიო: 20 თებერვალს (ახ. სტ.) რიგა-პეტროგრადის რკინის გზის ორივე მხარეზე ჩვენმა ჯარებმა გადალახეს რუსეთის თავდაცვითი ხაზი ჩვენი ძველი ხაზიდან 20 კილომეტრის მანძილზე. მტრის წინააღმდეგობა გავტეხეთ. ჩვენმა ჯარებმა დვინსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით წაიწიეს დვინსკისა და ლუცკს შუა. ჩვენი დივიზიები ფართე კოლონებით მიიწევენ ლუცკისკენ. ჩვენი რაზმი როვნოსკენ მიიწევს. წამოვიყვანეთ 2500 ტყვე, წამოვიღეთ რამდენიმე ასეული იარაღი და ბევრი საომარი მასალა.

პოლიფელოტი.

კავკასიის ფრონტი

18 თებ. თარიღით გენ. ვიშინსკი შემდეგს ატყობინებს აზრუმიდან ამიერ-კავკასიის კომისარიატს: კორჩმის რაზმი ილიჯაში მოვიდა. სადგ. კორჩმიდან გამოჩნდენ ცხენოსანი ქურთები, რომლებიც ჩვენ მოწინავე რაზმთან შეტაკების შემდეგ იძულებული გახდენ გაქცეულიყვნენ. ხნისის მიმართულებით, სოლიუკის ხიდთან თურქების პარლამენტიორმა გაიწვია ჩვენი აფიცერი და შეკითხვა მისცა, თუ რატომ არ ვიხევთ ჩვენ უკან. პარლამენტიორის განცხადებით, თურქებს უკვე შეუკრავთ საზავო ხელშეკრულება ბოლშევიკებთან, რომლის თანახმადაც ჩვენ უნდა დავიხიოთ სარიყამიშისაკენ; იარაღი და სამხედრო მასალები კი თურქებს უნდა დავუტოვოთ.

ბელორუსები სახალხო კომისართა წინააღმდეგ

მინსკიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა თფილისში:

„ბელორუსიის გლეხების, მუშების, ჯარისკაცების, ერობათა და ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც შეიკრიბა მინსკში ბელორუსიის ტრაგიკულ მდგომარეობის განსახილველათ, რომელსაც მოელის მეზობელთა შორის განაწილება და რუსეთიდან ჩამოშორება, ღრმა აღშფოთებით პროტესტს აცხადებს დასავლეთ ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს ძალადობის წინააღმდეგ, რომლებმაც გაბედეს ბელორუსების თვითგამორკვევის წმინდა უფლების წინააღმდეგ გალაშქრება. ყრილობამ დაადგინა არ სცნოს მოძალადეთა ძალაუფლება და მოუწოდოს ბელორუსიის ხალხს სასტიკი და აშკარა ბრძოლა გამოუცხადოს მათ".

ბოლშევიკების მოქმედება

ეკატერინოდარიდან 16 თებერვლის თარიღით ამიერ-კავკასიის შინაგან საქმეთა კომისარმა აკ. ჩხენკელმა შემდეგი დეპეშა მიიღო:

ნოვოროსიისკში ბოლშევიკები განაგრძობენ ძალადობის ხმარებას სახელმწიფო დაწესებულებებზე. სახელმწიფო ბანკიდან ძალით გაიტანეს 250 ათასი მანეთი. ბანკში თავიანთი კომისარები დანიშნეს. საერობო დაწესებულებებს სესხი შეუწყვიტეს. მუშების უმრავლესობა უმწეო მდგომარეობაშია; მოსალოდნელია მუშაობის შეწყვეტა. იძულებული ვართ სხვა სესხს მივმართოთ. უნდა მიეცეს ეკატერინოდარის ხაზინას სესხი 54.338 მან. 15 კაპ., რომელიც 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვას უდრის.

შავი ზღვ. გუბ. კომ. დოლგოპოლოვი.

ახალციხის ამბები

16 თებერვალს პირდაპირი მავთულით ახალციხიდან შემდეგი ცნობა მოვიდა: „დღეს შედარებით სიწყნარეა. თავის ნებით წასულ ჯარისკაცების ნაწილი უკვე დაბრუნდა, ნაწილი ბრუნდება. მუსულმანებით გარეშემორტყმულ სოფლებში გავგზავნე პორ. ინასარიძე ერთი ვზვოდი ჯარისკაცებით. მას მოუხდა მუსულმანებთან სროლა. მილიციის უფროსს ჰქონდა სროლა ყაჩაღებთან. მოკლეს 2, დაიჭირეს 7 ყაჩაღი. დიდი დახმარება გაგვიწია აწყურის რაიონმა".

მატროსები სოხუმში

შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარს აკ. ჩხენკელს სოხუმიდან ატყობინებენ: 15 თებერვალს სამი ტრანსპორტის მატროსები ამოვიდენ ქალაქში და ძალზე გამომწვევათ ეჭირათ თავი, ბულვარში აფიცერ ემუხვარს მოსთხოვეს პაგონების ახდა. აფიცერმა პროტესტი განაცხადა. გაისმა სროლის ხმა. არიან დაჭრილები. ქალაქის მეორე ნაწილში მოჰკლეს 1 მატროსი, 2 დასჭრეს და 3 დაატუსაღეს. მოკლული მატროსი თან წაიღეს და მოითხოვეს დატუსაღებულების განთავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ზარბაზნებს დაუშენთ ქალაქსო. ღამით აფხაზების მიერ დატყვევებული მატროსები გაანთავისუფლეს, ტრანსპორტები წავიდენ. ტრანსპორტების წასვლამდე ქალაქში ისმოდა სროლის ხმა. მცხოვრებნი შეშინდენ, ბევრი სოფლებში წავიდა. წითელ გვარდიამ და აბხაზების რაზმმა იკისრა ქალაქის დაცვა".

ახალი ამბები

სამარცხვინო ზავის გამო. ყვირილიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: მოისმინა რა ბრძოლაში დიდ ხნის ნაწრთობ მებრძოლის ნოე ჟორდანიას მოწოდება (?) ბათუმის, არდაგანის და ყარსის დაცვის შესახებ, რომლებიც სახალხო კომისარების საბჭომ ზავის სამარცხვინო პირობების თანახმად ოსმალეთს გადასცა,—ყვირილის მრავალ-რიცხოვანი მიტინგი, მოწვეული მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოს მიერ, ფიცს სდებს იარაღით დაიცვას რევოლიუცია და თავგანწირულათ იბრძოლოს დემოკრატიულ ზავის ჩამოსაგდებათ. მიტინგი გამოსთქვამს რწმენას, რომ ამიერ კავკასიის სეიმი, რომელიც გამომხატველია რევოლიუციონურ მისწრაფებათა, სათანადო ხელმძღვანელობას გაუწევს ამიერ-კავკასიის მოქალაქეებს დღევანდელ კრიტიკულ მომენტში.

◆ **ეშელონები.** სანაინიდან ჯავშნიან მატარებლის უფროსი იტყობინება შემდეგს: მშვიდობიანათ მოვედით. სადგ. სადახლოს მოსამსახურენი გაძარცულ დარბეულნი არიან; ისინი ითხოვენ გადაიყვანონ სადგ. ალა-შასსელარში. ზოგიერთ ცნობების მიხედვით ეწყობა ეშელონებზე თავდასხმა. 3 ეშელონი დღეს გაემგზავრა (18 თებერვ.). საჭიროა გამოიგზავნოს მუსულმანთა დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკების საქმეს მოაწყობს.

— მოსულ ცნობების მიხედვით ნავთლუღიდან გამგზავრებული ეშელონები უვნებლათ მისულან სად. დოვლიარში, 18 თებერვალს ეშელონები გაემგზავრებიან დოვლიარიდან.

◆ ბათუმიდან 14 თებერვლის თარიღით იტყობინებიან: მატროსებმა მოითხოვეს ჯამაგირები, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს აცხადებენ ჯარისკაცების წაყვანაზე. დღეს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმაც მოითხოვეს 4 თვის დანაკლისი ჯამაგირების მიცემა. თუ 2 დღის განმავლობაში არ დავაკმაყოფილებთ მათ მოთხოვნილებებს, გაფიცვით იმუქრებიან. ფული არ არის და თუ მალე არ მივიღეთ აუტანელი მდგომარეობა შეიქმნება. საჭიროა არა ნაკლებ 5 მილ. მანეთისა. ტრაპიზონის მდგომარეობა აუტანელია. სახალხო სიმდიდრეს იტაცებენ და ანადგურებენ. დღის 11 საათზე აფეთქდა საარტილერიო საწყობი. ჯერ არ არის გამორკვეული, თუ რამდენია მოკლული.

◆ **სურსათის გარშემო.** კიევიდან თფილისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ ცნობა მიიღო, რომ კიევში რაფინადი შაქარი ფუთი ღირს 48 მანეთი, ფხვნილი—44 მან.

— 19 თებერვალს ბათუმიდან თფილისში შემოიტანეს 7 ვაგონი ქერი.

◆ **დეპეშების გაგზავნის შეფერხება.** აზრუმიდან გენ. ვიშინსკი 18 თებერვალს ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეს, რომ სარიყამიშში რადიო-სადგურის უქონლობის გამო მისი დეპეშა ჯერ არ გადაუციათ ვეხიბ-ფაშასთვის, არ არის დეპეშა გადაცემული ტრაპიზუნდში, ვინაიდან ზღვაზე ძლიერი ღელვის გამო მიმოსვლა შეწყვეტილია. რადიო-სადგურის უქონლობის გამო არ გადაუციათ ამიერ-კავკასიის თავმჯდომარის დეპეშა აგრეთვე გენ. კოლოსოვსკისათვის ტრაპეზუნდში.

◆ **ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა დადგენილება.** ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტებმა 17 თებერვალის საერთო კრებაზე შემდეგი დაადგინეს: ყოველი სტუდენტი, რომელსაც იარაღის ტარება შეუძლია, დაუყონებლივ უნდა ჩაეწეროს ეროვნულ ჯარში.

შთაბეჭდილებანი

(ნახული და გაგონილი).

9

ᲙᲐᲕᲙᲐᲕᲨᲘ.

ორი დღე დავრჩით ამ ქალაქში. გზაშიაც გავიგონეთ,რომ ქალაქში საშინელი არეულობას ქონდა ადგილი,რომ სამოქალაქო ომი და ცარცვა-გლეჯა რამდენიმე დღე გაგრძელდა. ქალაქი გადაიწვა და სხვ.

ჩვენ რომ ჩამოვედით, უკვე სიწყნარე იყო. პირველ შეხედვით ვერაფერს შენიშნავდი, გარდა შეშინებულ მოქალაქეებისა, რომელნიც სადღაც მიიჩქაროდენ. სადგურის წინ, რომლის დაწვის ამბავი მოგვივიდა, ყველაფერი რიგზე იყო, სადგურსაც არაფერი აკლდა. გავიკვირდა. ზოგმა გაგონილი ჭორათაც ჩავთვალეთ. მაგრამ მწარე სინამდვილემ მალე ყოველ მოლოდინს გადააჭარბა.

ჯერ ერთი რომ სადგურზე ჩვენ სამგზავრო შენობას ვათვალიერებდით. გადამწვარი კი საქონლის საწყობები აღმოჩნდა, რომელნიც ლიანდაგის მეორე მხარეზე იყვნენ გაშენებული. იქ საშინელი სურათი სჩანდა ცეცხლის და ადამიანის ბოროტი ხელის ნამუშევარი.

ქალაქში გავლა-გამოვლამ დაგვარწმუნა, რომ საშინელ ბრძოლას ქონია ადგილი. აქა იქ ქუჩებში ჯებირები იყო აგებული, ბევრგან ეკლიან-მავთულების ღობეები გვხვდებოდა. იგი ომის დროს აგეთ და ეხლაც აუღებელი იყო. სახლებში ფანჯრები და კედლები ტყვიებით იყო დაცხრილული. გეგონებოდა ქალაქს მოსისხლე მტერი შემოსევია და გაუნადგურებიაო.

და მართლაც სამოქალაქო ომი, განსაკუთრებით ასეთ ანარქიის დროს გარეშე შემოსეულ მტერზე ნაკლებ არ სტოვებს ცეცხლისა და განადგურების კვალს სოფელ ქალაქებში.

ვინც მოქალაქობრივობის მოტრფიალეა, უნდა ეს ველურობის ნაშთები აჩვენა, და თუ მაინც ამ საშინელებაზე ხელს არ აიღებს, ფურთხის ღირსათ ჩათვალო. გარდა გავარდნილი ავაზაკისა ასეთ სურათს შეუძრწუნებლათ ვერავინ შეხედავს.

მე ტანში მაზრიალებდა, როცა ამ მშვიდობიან ქალაქში ბარიკადეიის ნაშთებს და საომარ წესზე აგებულ ეკლის მავთულების მთელ ჯებირებს ვხედავდი. უკვე ტყვია და ბრძოლა, ბევრი მქონდა გამოცდილი, მარა ამ სურათმა მაინც ძლიერი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე და ვგონებ, ჩემ ამხანაგებზედაც. მეგონა, ახლა გავარდება ტყვია იმ სახლის კუთხიდან და მშვიდობიან მიმავალ ქალიშვილს სიცოცხლეს მოუსწრაფებს, ნეტა რისთვის?

ასეთ გრძნობებით გამსჭვალული მივედით ადგილობრივ მთავრობას და იმავე დროს სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე დედაროვთან. მოკლეთ ჩვენი ამბავი გადავეცით და ადგილობრივი ამბები ვკითხეთ.

მისი საუბარი იმდენათ საყურადღებოა, რომ მინდა ერცლათ გავაცნო მკითხველს. თან ვხელმძღვანელობ ზოგიერთი, კერძო მოგროვილი ცნობებით.

მთიულ ხალხთა და ყაზახთა ურთიერთობა ძველი რეჟიმის დროს მხოლოდ ძალადობაზე ეყრდნობოდა. ძმური კავშირი მათ შორის არ ყოფილა. ერთმანეთის გაგება და გაცნობა მით უმეტეს.

არეულობა დაიწყო სამოქალაქო ბრძოლის ნიადაგზე. ოსეთის ჯარისკაცთა ერთმა რაზმმა ვგონებ ყაზახებთან ერთად მოახდინა თავდასხმა ადგილობრივ მუშათა და სალდათთა საბჭოზე. საბჭო გაანადგურეს, მისი იარაღის საწყობი გაცარცვეს, ზოგიერთი ხელმძღვანელები დაატუსაღეს. მიზეზათ ასახელებდენ იმას, რომ საბჭოებს სადღაც შეურაცყოფა მიუყენებიათ ოსებისთვის, ვგონებიარაღი აუყრიათ მათთვის. ეს დარბევა ამიტომ ფორმალურათ ასე ვსთქვათ შურისძიების შედეგი იყო. ნამდვილათ კი აქ რეაქციონური ხელი ფათურობდა და რევოლიუციურ წესრიგის დამცველ ორგანიზაციის გაუქმება ქონდა მიზნათ დასახული. საქმე იმაშია, რომ აქ აუარებელი აფიცრობა, იუნკრობა და სხვა დევნილი ელემენტები იყვენ თავმოყრილი. დონის მთავრობა მათში აგროვებდა მოხალისეთა რაზმს რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ. მას ადგილობრივი მუშათა საბჭო ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ საჭირო შეიქნა ჯერ საბჭოს თავიდან მოშორება, და მერე თავის საქმის კეთება. და ასეც მოიქცენ. ხოლო საბაბის შოვნა ყოველთვის შეიძლებოდა.

საბჭოს გარეკას მოყვა ჯარის იარაღის აყრა და სახლებში გაშვება. დარჩა ქალაქში მხოლოდ ოსების და ყაზახების რაზმები. აი ამის შემდეგ რეაქციონური სული დატრიალდა ქალაქში...

არეულობას და შეტაკებას, რომელსაც ამის შემდეგ მიეცა ადგილი, ჰქონდა ხასიათი ინგუშების აჯანყების. ვილაცამ მოჰკლა ორი აფიცერი „ტუზემცების" დივიზიის და ეს გადაიქცა პროვოკაციულ მკვლელობათ. ინგუშები ამის გარეშეც ეწეოდენ უკვე მტაცებლობას, რადგან მეტათ შევიწროვებული არიან მთებში და მათი ერთი ნაწილი მაინც საშინელ შიმშილს განიცდის. ეს ინგუშები ესხმოდენ ჯერ ახლო მახლო გზებში მიმავალთ, ხან მატარებელსაც დაუშენდენ თოფებს. პროვოკაციულ მკვლელობის შემდეგ კი დაესხენ ქალაქსაც.

მთელი სოფლები შეიარაღებულნი შემოვიდენ ქალაქში. ჯერ გადასწვეს საქონ. სადგური,გაიტაცეს საქონელი და ურმებზე დაწყობილი წაიღეს. გასტეხეს საინტენდანტო საწყობები, წაიღეს შაქარი, ტყავი, ტანთსაცმელი და სხვ. დაესხენ სასურსათო მაღაზიებსაც...

საწყობების მცველებმა ჯერ წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, მარა, როცა ინგუშებმა ქალაქის მცხოვრებსაც დაუწყეს რბევა, აქ გამოვიდენ მათ წინააღმდეგ ოსების და ყაზახების ჯარი და ასტყდა საშინელი სროლა. ერთ ქუჩაზე რომ თოფების ზუზუნი იყო, მეორე ადგილას ოჯახებს ძარცვავდენ. თითო ოჯახს ხუთჯერ-ექვსჯერ ეწვევოდენ. ჯერ გაჰქონდათ უფრო ძვირფასი და იოლათ წასაღები ნივთები, შემდეგ უფრო მძიმე და ბოლოს კი უკანასკნელი დამტვრეული სკამი და სამზარეულოს სტოლიც კი. ამ მძარცველთ უკან მოჰყვებოდენ ურმები, ხარ-კამეჩებით შებმულნი, უწყობდენ ზედ ამ ნივთებს და ეზიდებოდენ. ვერაფერმა ვერ შეაჩერა ეს ბრძოლა, რომელმაც რამდენიმე დღეს გასტანა...

ბოლოს ოსების და ყაზახების რაზმებმა სძლიეს ინგუშებს, გარეკეს ისინი. ჩვენ რომ ჩავედით, იმ დღეებშიაც, როგორც გადმოგვცეს, ყოფილ სარაჯევის ქარხანაში იყვენ ჩასაფრებულნი 600-მდე ინგუშები, რომელთაც წასვლა ვერ მოესწროთ.

ამ არეულობასთან ერთათ გაიკრა გზა კავკავიდან დარიალამდე. აქ გამვლელგამომვლელთ ხვდებოდენ და ძარცვავდენ. რკინის გზაც ბესლანამდე საშიშარ მდგომარეობაში ჩავარდა. თავს ესხმოდენ მატარებელს, აჩერებდენ და ძარცვავდენ მგზავრებს. პურის შემოტანა ქალაქში შეწყდა და კავკავი შემონახული პურით იკვებებოდა, რომელსაც ბარათებით ურიგებდენ მცხოვრებთ თითო გირვანქას სულზე. და ეს იმ მხარეში, რომელიც რამდენიმე მილიონ ფუთ სანოვაგეს აწვდის სხვა გუბერნიებს...

ჩვენი მოსვლის წინ რამდენიმე დღით ადრე მოსულიყვენ დელეგატებათ ქართველი ჯარისკაცები და ინგუშებთან მოლაპარაკების შემდეგ მოეხერხებიათ შეთანხმებით გზის გახსნა. ამ შეთანხმებით გზას უნდა უდარაჯონ კავკავიდან დარიალამდე თვით ინგუშების რაზმებმა. იმას აქეთ კი ქართველებმა.

ამის შემდეგ გზა გაიხსნა.

ზარალი არეულობისაგან მომხდარი— მეტათ დიდია, მარტო სასურსათო კომიტეტს დაუკარგავს 2 ნახ. მილიონის საქონელი.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ვერც კეთილის მყოფელობას პოლიტიკას შეძლებია შეჩერება არეულობის და აცილება დარბევის.

სასურსათო კომიტეტს რამდენიმე ასეული ცხენები შეუძენია ჯარისგან დარჩენილი და განუზრახავს მცხოვრებთათვის დარიგება. რამდენიმე ათეული კიდეც დაურიგებია, თუ იაფ ფასათ მიუყიდნია მსურველთათვის. მარა ამის შემდეგ სამი დღის განმავლობაში დანარჩენი ცხენები ერთბაშათ გამქრალან მათი თავლებიდან. იგინი დაუტაციათ, მოუპარავთ, რადგან მდევარი არავინ ყოფილა, ამას მძარცველები კიდევ უფრო გაუთამამებია. ეს მოპარვა ცხენების სწორეთ საყოველთაო დარბევის წინა დღეებში მომხდარა. იგი ასე ვსთქვათ სამზადისათ გამხდარა უფრო საშინელი ამბების.

ტომთა შორის ბრძოლის დაწყებისთანავე თერგ-დაღესტანის მთავრობა სადღაც გამქრალა. მისი შემდგენელი ნაწილები თავ-თავის სახლებში გაქცეულან და ერთად ერთი კაცი,რომელსაც მართველობის ძაფი არ გაუწყვეტია, ჩვენი მესაუბრე დედაროვი დარჩენილა.

ეს მთავრობა ისეთ ტომების წარმომადგენელთაგან იყო შედგენილი, რომელნიც ჯერ კიდევ არ მისულან სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობამდე და უფრო გვარტომობის ადათებს მისდევენ. ამიტომ პირველ შეტაკებისთანავე ტომებათ დაიყვენ და გაიფანტენ. ცხადია აქ სახელმწიფოს იდეის გამაგრება ძნელია. ქალაქში ამ ბრძოლის შემდეგ ბატონობა გარნიზონის უფროსის ხელში იყო. იგი დიქტატორობდა. ქუჩებში მხოლოდ აფიცრები და იუნკრები-ღა დადიოდენ. ყაზახები და ოსების ჯარიც ომის შემდეგ ქალაქიდან წავიდენ. ღამე ქალაქს მცხოვრებლები და მილიცია იცავს. პაროლი აქვთ და თუ არ უთხარი, ერთი ქუჩიდან მეორეზე ვერ გადახვალ. საღამოს 9 საათიდან ქალაქის მაჯისცემა წყდება. თეატრიც კი ცხრა საათზე ათავებს წარმოდგენას. რეაქცია უხვათ აღმოცენებულა ძმათა სისხლისა და ძარცვა-გლეჯით განოყიერებულ ნიადაგზე.

ოს-ინგუშები იბრძოდენ. ჯარმა და საბჭოებმა ერთმანეთი დაღეწეს, გამარჯვება კი გარნიზონის უფროს დარჩა დევნილ იუნკრებსა და აფიცრებზე დამყარებულს. ასეთია შედეგი სამოქალაქო ომის. ვისაც თეორიულათ ვერ შეუგნია, უნდა ნახოს კავკავი და თვალსაჩინო გაკვეთილს მიიღებს.

ჩვენ დაგვაინტერესა ინგუშების ასეთმა განცხადებამ და ვკითხე დედაროვს მიზეზი. და აი რა გადმომცა მან: ინგუში რუსეთის შემოსვლის დროს ყველაზე მშვიდობიანი ხალხი იყვენ. მეცხვარეობას მისდევდენ. სულ ახლა მათი რიცხვი 50,000-მდე იქნება. ბევრი არც მაშინ იყვენ. მეცხვარე კი მთასა და ბარში მოგზაურობს წლის დროთა მიხედვით, რომ ცხვარს საძოვარი უშოვოს. რუსეთის პოლიტიკამ ეს ხალხი მეტათ შეაწუხა. მათი მთა და ბარი შუა გააპეს და ზედ ყაზახთა სტანიცები გააშენეს. მან ეს სოფლები დაასახელა კიდეც, მაგრამ სახელები არ ჩამიწერია. ეს არც არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ სოფლებზე გაუვლელათ მათ მეცხვარეობა არ შეუძლიან, რის გამო განსაკუთრებით შევიწროვებული არიან მაღლობზე დარჩენილნი. რადგან მათ პური არ მოსდით სამყოფი, ბარელი ინგუშები შეუდგენ ხვნა-თესვას. მთიულები კი ყაჩაღობას, რომ ყაზახებისთვის მუდამ იჯარა არ ეხადათ ყოველ ცხვრის გარეკვაზე. ახლაც ეს ინგუშები თხოულობენ ამ სოფლებისთვის ადგილის მონაცვლებას. მათ სხვა ინგუშების განაპირას დასახლებას, რომ თავის კუთხე გააერთიანონ და მეცხვარეობა თავისუფლათ შესძლონ.

თუ ეს არ იქნა დაკმაყოფილებული, ეჭვი არაა შეტაკებებს კიდევ უნდა ველოდეთო.

ამ რიგათ ძველმა რეჟიმმა თვით წარმოშვა ავაზაკები ინგუშებში და შემდეგ ამ ელემენტებით ამ უპურო და შევიწროვებული ხალხით სარგებლობდა, მათ თავის მემამულეებს მცველა

◆ **დარბევა.** აბასთუმანიდან კომისარიატს ატყობინებენ: ძარცვა-დარბევამ ფართე ხასიათი მიიღო. ითხოვენ ნებართვას, რათა შექმნილ იქნას განსაკუთრებული კომისია ადგილობრივ მთავრობის ორგანოების და სხვა დაწესებულებების წარმომადგენელთაგან. რადგანაც მოსალოდნელია გამოსვლები, საჭიროა ძვირფასი ნივთების თფილისში გადატანა.

◆ **საქონლის გადამზიდველი ბიურო.** ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსმა აცნობა რკინის გზის ყველა დაწესებულებებს, რომ ამიერ-კავკასიაში საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვის საქმის მოსაწესრიგებლათ უკვე დაიწყო მოქმედება განსაკუთრებულმა საქონლის გადამზიდველ ბიურომ.

◆ **მოსალოდნელი თავდასხმა.** შამქორიდან იტყობინებიან, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვებით სადგურს უახლოვდება რამდენიმე ეშელონი. ისმის სროლის ხმა. კატასტროფის თავიდან ასაცილებლათ ითხოვენ დახმარებას. საჭიროა იარაღის და მუსულმანთა დელეგაციის გაგზავნით.

◆ **სოფლების დარბევა.** ახალ-ქალაქიდან 18 თებერვ. ამიერ კავკასიის კომისარიატს შემდეგ ატყობინებენ: ახალქალაქის მაზრის სოფლები სოროხი და ზაზორფი გარს შემორტყმულია ადგილობრივ მუსულმანების მიერ, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მოითხოვენ ყოველგვარ იარაღის გადაცემას. წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღის აყრით და ამოწყვეტით იმუქრებიან. მუსულმანებმა დაარბიეს შემდეგი სოფლები: მუსხანი, ლაგრი, შინდა, ძველი კოფფა, თათეში, კუნძა, როკეტა, თობა-თოლონი და ელენა. მცხოვრებნი მეტათ შეშინებული არიან, ითხოვენ იარაღით და სხვა საჭირო საგნებით დახმარებას.

◆ **მუშათა გამოძახილი.** მერვე სამილიციო ნაწილში მცხოვრებ მუშებმა და მოქალაქეებმა დაადგინეს გულწრფელი სალამი უძღვნან სეიმის გახსნას და უსურვებენ მას, რათა მან შესძლოს მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიის სასარგებლოთ მუშაობა.

◆ **ვალ. შალიკაშვილის ბენეფისი,** რომელიც 15 თებერვალს გადაიდვა, გაიმართება 22 თებერვალს, წარმოდგენილი იქნება „გადაქრილი მუხა“.

◆ **მუშების მოთხოვნილებებისადმი უყურადღებობა.** 5 იანვარს რესტორანების, კლუბების და სხვა მოსამსახურეთა და მზარეულთა პროფესიონალურმა კავშირმა, თანახმათ დელეგატთა კრების გადაწყვეტილებისა, წარუდგინა მოთხოვნილება აღნიშნულ დაწესებულებების მეპატრონეთა ბიუროს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. შემდეგ კავშირმა სამჯერ მოაგონა ბიუროს მოთხოვნილებების შესახებ, მაგრამ კავშირი პასუხის ღირსიც ვერ გახდა. ამის შემდეგ კავშირი იძულებული შეიქნა ბრძოლა გამოუცხადოს მეპატრონეთა თავგასულობას.

კრებები და მიტინგები.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

პროვინციის ქრონიკა

ფოთი. კოოპერატივის წევრთა წლიური საერთო კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო 11 თებერვალს, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლის გამო გადაიდო შემდეგისათვის.

— ფოთის ქალაქის თვითმართველობის ხელში გადადის ფოთის ნავთსადგური. აქამდის ის სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

— ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოში თავის წარმომადგენლათ ქალაქის თვითმართველობამ დანიშნა ამხ. ალ. კორძაია და იმავე გიმნაზიის „საოჯხო კომიტეტში“—ამხ-ბი არ. სამსონაძე და დ. ბოკუჩავა.

რუსეთის ამბები

რას მოითხოვდენ ბოლშევიკებისაგან გერმანელები. გერმანელებსა და ბოლშევიკებს შორის უთანხმოება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: გარდა სამხედრო, ტერიტორიალურ და ეკონომიურ მოთხოვნილებისა, გერმანელებმა გადაჭრით მოსთხოვეს ბოლშევიკებს გადამდგარიყო მათი მთავრობა და შემდგარიყო კოალიციური, გარდა ამისა პეტროგრადიდან და მოსკოვიდან უნდა გაეყვანათ ბოლშევიკური ჯარები. სახალხო კომისარების საბჭომ უარჰყო ეს მოთხოვნები და დანარჩენებზე დაეთხმა.

სატუსაღოების რეფორმა. სახალხო კომისარების საბჭო შეუდგა სატუსაღოების რეფორმის შესახებ დეკრეტის შემუშავებას. ამ დეკრეტით მოისპობა კატორღაში და გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, სატუსაღოში დამწყვდევა და თვით სატუსაღოები. დარჩება მხოლოდ ერთნაირი დატუსაღების სახე—სამუშაო სახლები. აქ დატუსაღებულებმა უნდა შეასრულონ სასოფლო სამეურნეო სამუშაო. როგორც გამონაკლისი ზოგიერთ ქალაქებში იქნება სამუშაო სახლები, სადაც მუშაობას სამრეწველო ხასიათი ექნება.

ყოფილ სამხედრო მინისტრის ვერხოვსკის დატუსაღება. პეტროგრადში დაატუსაღეს ყოფილი სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი. დატუსაღების დროს მას უნდოდა იარაღით ხელში წინაღმდეგობა გაეწია, მაგრამ რევოლვერი წაართვეს. პეტროგრადში ის სცხოვრობდა, როგორც მოქალაქე ვერხოვსკი, უბრალოთ იცვამდა და გზაში არავის არ ელაპარაკებოდა. მას ყურადღება მიაქცია ერთმა ჯარისკაცმა და თვალყურის დევნება დაუწყო. ბოლოს გაიგო, ვინც იყო და სახალხო კომისარების საბჭოს შეატყობინა. ის მაშინვე დაიჭირეს და მისი საქმე გამომძიებელს გარდასცეს.

უცხოეთი

გერმანიის პრესა ბოლშევიკების შესახებ. გერმანიის იმპერიალისტური გაზეთები ბოლშევიკების შესახებ შემდეგს სწერენ:

„კიულმანი და ჩერნინი წავიდენ ბრესტ-ლიტოვსკიდან ბერლინში იმის გამოსარკვევათ, ღირს თუ არა განაგრძონ საზავო მოლაპარაკება ბოლშევიკებთან. ჩვენ მოლაპარაკება გვაქვს ტერორის მთავრობასთან, რომელიც დაყრდნობილია პეტროგრადის ანარქისტულ პროლეტარიატზე. რომელიც უარჰყო სოციალ დემოკრატ მენშევიკებმაც კი, ბოლშევიკებმა ძარცვა-გლეჯით და მტაცებლობით ძირიანათ შეარყიეს მთელი სახელმწიფო ცხოვრება, მიითვისეს ბანკები, მრეწველობა და გაზეთები, ზარბაზნების სროლით გარეკეს რუსის ხალხის ერთათ ერთი იმედი დამფუძნებელი კრება, სძარცვავენ მთელ ქვეყანას და ათასგვარ ექსპროპრიაციებს ხელმძღვანელობას უწევენ. ეჭვს გარეშეა ჩქარა დაეცემა ეს მთავრობა თუ ის ასე განცალკევებული დარჩა და ანარქისტულ გზას გაჰყვა. ლენინს და ტროცკის არ უნდათ ზავი, რომელიც მათ სახრჩობელას უმზადებს, არამედ ცდილობენ გამოიწვიონ რევოლიუციონური მოძრაობა ცენტრალურ სახელმწიფოებში. ამისთვის იგინი ავრცელებენ ფურცლებს. ჩვენი მათთან მოლაპარაკება გასაოცარია, რადგან ჩვენ ნამდვილ ანარქისტებთან გვაქვს საქმე.

ბიუკენენი ბოლშევიკების შესახებ. ინგლისის ელჩმა, ბიუკენენმა განაცხადა, რომ მისი რწმენით ბოლშევიკების ბელადები ეცდებიან თვითმპყრობელობა აღადგინონ, ვიდრე ზომიერ სოციალისტებს შეუერთდენ, თუ მათ ხელიდან გააგდებინეს ძალა-უფლებაო.

ჩრდილოეთ კავკასიის ამბები

კავკავი. 14 თებერვალი. კაზაკების წრე ჯერ ისმენს კაზაკთა მთავრობის მოხსენებებს და არ შედგომია პოლიტიკურ კითხვების განხილვას. თერგის ოლქის ხალხთა ყრილობა, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრს სურს მისი ჩაშლა, აუცილებლათ გაიხსნება 15 თებერვალს პიატიგორსკში, ვინაიდან უკვე ჩამოვიდა 200-ზე მეტი დელეგატი. ჩამოვიდნენ კაზაკები, ბევრი სხვა ქალაქების წარმომადგენლები, ყაბარდოელები, ნოგაელები, კალმიკები და სხ. ინგუშები და ოსები დელეგატ. კაზაკებთან და კავკავის წარმომადგენლებთან ერთად მიდიან პიატიგორსკში დღეს საღამოს ან ხვალ დილით.

აფიცერთა და სტუდენტთა თავდაცვის ასეულმა დაატყვევა რამდენიმე პირი. ვაგზალზე დაატყვევეს მამულოვი და ფალავანდიშვილი, როცა ისინი მიემგზავრებოდენ პიატიგორსკში, მაგრამ მაშინვე გაანთავისუფლეს. დაატუსაღეს მუშათა რამდენიმე წარმომადგენელი, მალე გაანთავისუფლეს.

თერგ-დაღესტნის მთავრობა დღევანდელ განცხადებაში წინადადებას აძლევს სახალხო საბჭოს მოიწვიოს ყრილობა კავკავში, რომელსაც იგი ჩააბარებს ანგარიშს და გადასცემს ძალა-უფლებას. მაგრამ სახალხო საბჭო მოითხოვს ყრილობა მოწვეულ იქნას პიატიგორსკში, სადაც იგი გაიხსნება.

გროზნოს რაიონის ნავთის მრეწველებს გროზნოს სამხედრო—რევოლიუციონურ კომიტეტმა მოსთხოვა მილიონი მანეთი. ნავთის მრეწველებმა უარი უთხრეს ფულის მიცემაზე, ამის გამო კომიტეტის დადგენილებით ისინი დაატყვევეს. ნავთის მრეწველებმა საჩივარი შეიტანეს კაზაკთა წრეში, სთხოვენ მას გაანთავისუფლონ დატუსაღებულები, წინაამდეგ შემთხვევაში თერგის ოლქის ჯარი დაჰკარგავს მათ დახმარებას. წრემ ეს განცხადება დახურულ სხდომაზე განიხილა. მისი გადაწყვეტილება ჯერ არ ვიცით. წრის გარშემო ამუშავდენ კონტრ-რევოლიუციონერები. ცდილობენ დელეგატებზე გავლენის მოხდენას. კაზაკები ჯერ-ჯერობით მტკიცეთ განაგრძობენ იმ პოზიციაზე დგომას, რომელზედაც ისინი იდგენ მოზდოკის ყრილობაზე.

თუ ხმებს დაუჯერებთ, როსტოვი ბოლშევიკებმა დაიკავეს. ამ დღეებში ისინი აღადგენენ როსტოვამდე რკ. გზაზე მოძრაობას. არის ხმები, რომ ეკატერინოდარიც ბოლშევიკებმა დაიკავეს.

ბოლშევიკების ზავი და ამიერ-კავკასია

17 თებერვალს თფილისში მოვიდა ცნობა, რომ სახალხო კომისართა საბჭოს გადაუწყვეტია შეკრას ზავი ცენტრალურ სახელმწიფოებთან და დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება, რომლის თანახმათ ოსმალეთს უნდა შეუერთდეს ყარსისა და ბათუმის ოლქები. ამ ცნობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია, საზოგადოთ და კერძოთ პარტიულ ამხანაგებში. საღამოს მოწვეულ იქნა რ. ს.-დ. მ. პ. საოლქო და თფილისის კომიტეტების, საკანტროლო კომისიის და ამიერ-კავკასიის სეიმის ს.-დ. ფრაქციის წევრთა კრება. სათათბირო ხმით დაესწრო რაიონულ კოლექტივების, თფ. აღმასრულებელ კომიტეტის, ქალაქის საბჭოს და სხ. რევოლიუციონურ ორგანიზაციების ს.-დ. ფრაქციის წევრები. ხანგრძლივი მსჯელობისა (თათბირი გაგრძელდა მეორე დღესაც, 18 თებერვალს). და საკითხის ყოველ მხრივ განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ცნობა სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ შეკრას ზავი ცენტრალურ სახელმწიფოებთან ამიერ-კავკასიიდან ბათუმისა და ყარსის ოლქების ჩამოშორების ნიადაგზე და, იღებს რა მხედველობაში, რომ ბოლშევიკების მთავრობის ეს მოღალატეობა ჩააგდებდა ამიერ-კავკასიას ოსმალეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობაში და წაართმევდა მას შემდეგში ნაყოფიერათ ეკონომიურ განვითარების საშუალებას და ამით ბორკილებს დაადებდა მთელ ამიერ-კავკ. დემოკრატიას,—კრება ადგენს:

1) ზემოაღნიშნულ ხელშეკრულობის ის ნაწილი, რომელიც ეხება ამიერ-კავკასიას აღიარებულ იქნას არასავალდებულოთ (მიღებულ იქნა ერთხმათ, მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი).

2) იწონებს ამიერ კავკასიის სეიმის ყველა ნაბიჯებს, რომელიც მიმართულია ოსმალეთთან დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და საბოლოო ზავის ჩამოგდებისაკენ. (ხმა მისცა 45, წინაამდეგ 1, თავი შეიკავა 2).

და 3) წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს მიიღონ სასტიკი ზომები ამიერ კავკასიის საზღვრების დასაცავათ. (მიღებულია ერთხმათ).

კრება ფიქრობს, რომ ამიერ კავკასიის დაყოფის თავიდან ასაცილებლათ ჩვენ არ უნდა შევდგეთ არც დამოუკიდებელ ამიერ კავკასიის დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადების წინ. (ხმა მისცა 36, წინაამდეგ 8, თავი შეიკავა 4).

თუ გამოცხადებულ იქნა ამიერ კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, სოციალდემოკრატია უნდა შეეცადოს მისი მუდმივი ნეიტრალიტეტის აღიარებას. (ხმა მისცა 32, წინაამდეგ 4).

ლევან ციციშვილი

10 თებერვალს, სოფელ წრომში ნაძირალებმა ვერაგულად მოჰკლეს ჩვენი ამხანაგი ლევან ციციშვილი. ლევან ციციშვილი—ეს განსახიერებული, პატიოსნება იყო. ჩუმი, წყნარი, მორიდებული, მაგრამ დაუღალავი მუშაკი, ის მუდამ სოფელში იყო, გლეხებში ტრიალებდა და იზიარებდა მათ ჭირ-ვარამს. ბუნებით მოძრავს, ნიჭიერს და კარგათ განვითარებულს, მას ერთი ორგანიული ნაკლი ჰქონდა: აკლდა ყურთა სმენა. აი ეს ნაკლი იყო მიზეზი მისი მწუხარებისა. მას არ შეეძლო მიეღო მონაწილეობა საზოგადო სჯა-ბაასში და სწორედ ეს სტანჯავდა საწყალს. მაგრამ როდესაც გაიგებდა ბაასის საგანს და ამა თუ იმ თემაზე დაიწყებდა ლაპარაკს, გრძნობდით, რომ საქმე გაქვთ მეცნიერულად მომზადებულ სოციალ-დემოკრატთან და მასთან ჩინებულ ორატორთან. სწავლა-განათლება განსვენებულმა პარიზში მიიღო, დაბრუნდა თუ არა იქიდან, დასახლდა სოფელში და სიკვდილამდე იქ დარჩა. მისი მეცადინეობით დაარსდა წრომში სკოლა, რომელსაც ამ ბოლო დროს თავისი სახლიც კი დაუთმო. ის ახდენდა კრებებს და ამ კრებებზე ელაპარაკებოდა ხალხს დღიურ ჭირ-ვარამზე, უკითხავდა ჟურ.-გაზ., უმარტავდა ყოველგვარ საკითხს, რომელიც ცხოვრებისგან იყო წამოყენებული. ერთი სიტყვით, ის იყო ერთგული შვილი და მოჭირნახულე სოფელ წრომის საზოგადოებისა. და მშრომელი მასაც აფასებდა მის გულწრფელსა და უანგარო მუშაობას. მას ირჩევდენ თავის წარმომადგენლათ ყველგან, ანდობდენ ყოველგვარ საზოგადო საქმე და განსვენებულიც პირნათლათ ასრულებდა თავის მოვალეობას. აი ამისთანა კაცი მოჰკლეს ნაძირალებმა. ჯერ გაძარცვეს და მერე მოჰკლეს, აი როგორ აგვიწერენ ამ მკვლელობას: საღამოს 7 საათი იქნებოდა, რომ განსვენებული ხაშურიდან დაბრუნებულა და თან ხალხის შესაიარაღებლად თოფები მოუტანია.

დაღლილი ყოფილა და დაწოლილა. ერთი საათის შემდეგ აივანზე რაღაც ხმაურობა ატყდა, სახლში იმ დროს იყვენ: განსვენებულის მეუღლე, მისი უფროსი ქალი, მარიამი, ორი პატარა შვილი და 82 წლის მოხუცებული დედა. ყაჩაღებმა შემოამტვრიეს კარები და მაშინათვე შეუდგენ რბევას. არ დასტოვეს არაფერი. ასე გასინჯეთ პატარა ბავშვების საცვლებიც კი წაიღეს. მოხუცებული და ბრმა დედაბერიც კი არ დაინდეს: თავ-ქვეშ ბალიში და ლეიბი გამოაცალეს და თოფის კონდახი თვალში დაჰკრეს. თოფის კონდახი დაჰკრეს აგრეთვე ლევანის ქალს მარიამს.

ერთი სიტყვით ისე დააცარიელეს სახლი, რომ პერანგიც კი არავის დაუტოვეს, ასე რომ საბრალო ლევანის გვამი შემთხვევით დარჩენილ სუფრაში გაახვიეს და ისე ჩადეს კუბოში, ხოლო დანარჩენებს, რომლებიც გატიტვლებული ისხდენ სახლში, მეზობლებმა ათხოვეს ტან-საცმელი. როდესაც ძარცვით გული იჯერეს ნაძირლებმა მოსცვივდენ ლევანს და მისი სიკვდილით დაამთავრეს თავისი უსინდისო საქმე.

ყაჩაღები, როგორც გამოირკვა, ოსები ყოფილან, რომელნიც დადიან სოფელ-სოფელ და ბოლშევიზმის სახელით მუსრს ავლებენ თავად-აზნაურობას და ამ ბოლო დროს გლეხებსაც მიჰყვეს ხელი.

ასე ავაზაკურათ გამოგვაცალეს ხელიდან ვიღაც ნაძირალებმა ჩვენი ძვირფასი ლევანი, რომლის ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ს—დ

მიწის საკითხი

რევოლიუციის პირველ დღეებიდან სოფლის მუშა უცდის მიწის საკითხის გადაწყვეტას, რომ მას საშუალება მიეცეს ცოტათ მაინც გაიუმჯობესოს მდგომარეობა და ადამიანურათ იცხოვროს.

ის ითმენდა, რადგან მთელი თავისი არსებით მზათ იყო მხარი დაეჭირა და უკან გაჰყოლოდა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც სათავეში უდგას რევოლიუციას.

მაგრამ პირობები იცვლება: სურსათის საკითხი საშინლათ მწვავდება, ფრონტიდან სალდათები შინ ბრუნდებიან, ერთსულოვნება ცოტაოდნათ ირღვევა და ანარქიული აგიტაცია ფეხს იკიდებს. მიწის საკითხი ისევ ძველ მდგომარეობაშია; გაზაფხული კი ახლოვდება.

ამ საგონებელში პირველ ყოვლისა უმიწაწყლო და ცოტა მამულიანი გლეხები არიან. იმათ მოთმინება ეკარგებათ და რა გასაკვირალია, თუ შავრაზმულ აგიტაციის ანკესზე ასე ადვილათ ეგებიან.

ამდენ ხანს შეჩერებულნი, ისინი დღეს ცდილობენ ხელში ჩაიგდონ სხვადასხვა მიწები, როგორც მაგ. საუფლისწულო, მემამულეთა და სხვა. სადაც ამ ნაირი მიწები არ არის, იქ მეზობელ ჩამოსახლებულ სოფლებს ეცემიან და არა სასურველი ამბები ხდება.

ასეთი ამბები მოხდა აღმოსავლეთ კავკასიაში და სხვა ადგილებშიც. ასეთივე მოვლენა იყო ყარაიაზში, სადაც ძველი მთავრობის პოლიტიკამ ისეთი აწეწილი მდგომარეობა დასტოვა, რომ ადგილობრივი თათრები ადვილათ შეიპყრო ეჭვმა და მათ თავისი ჯავრი გადმოსახლებულ რუსებზე იყარეს.

თათრების მდგომარეობა მართლაც ყოვლად აუტანელი იყო; ამ რაიონის სოფლებში ბევრი ათეული ოჯახი მოიპოვება სრულიად უმიწაწყლო და, რა გასაკვირალია, თუ ჩვენ ყარაიაზის ამბების მოწამენი გავხდით.

ამ მოვლენას არაფერი ნაციონალური სარჩული არა აქვს, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ამავე მიზეზების გამო ისევე ამბები ხდება ხშირად ერთ და იმავე ხალხის ჯგუფებ შორის. მაგ. ლაგოდახის რაიონში ჩამოსახლებულ იმერლებსა და ადგილობრივ კახელებს შორის და სხვა.

ეს პატარა გამოსვლები, რომ სტიქიურ მოძრაობათ არ გადაიქცეს, აუცილებლათ უნდა მიღებულ იქნას ზომები დაუყონებლივ გატარდეს ცხოვრებაში მიწის დეკრეტი, რომ უმიწაწყლო მცხოვრებთ დღესვე მიეცეს დასამუშავებელი მიწა.

სამაზრო და საგუბერნიო საადგილ მამულო კომიტეტების მოვალეობას შეადგენს ეს საკითხი მთელის სიმძიმით თავის თავზე მიიღონ, ინიციატივა გამოიჩინონ, და არ უცადონ თუ რას ეტყვის მათ ამიერ-კავკასიის დროებითი საადგილ-მამულო კომიტეტი, რომლის მუშაობაც ამ საკითხში კაბინეტს ვერ გასცილებია.

ი. მესხი.

ამიერ-კავკასიის სეიმი

17 თებერვალი.

კრება გვიან გაიხსნა, დღის 3 ს. და 15 წ. თავმჯდომარე აცხადებს, რომ ზავის კომისიამ უკვე დაასრულა მუშაობა და აირჩია დელეგაცია. სიტყვა ეძლევა კომისიის თავმჯდომარეს ნ. რამიშვილს.

ნ. რამიშვილი. ზავის კომისიამ უკვე შეასრულა თავის მოვალეობა. ავირჩიეთ დელეგაცია და შევიმუშავეთ რეგლამენტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს დელეგაციამ. დელეგაციაში არჩეული არიან შემდეგი პირნი (კითხულობს).

სოციალ-დემოკრატ მენშევიკებისგან აკაკი ჩხენკელი (თავმჯდომარე) და ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე; პარტია „მუსავატი“-საგან მამედ გაჯინსკი და ხას-მამედოვი; დაშნაკცუტიუნისაგან —კაჩაზნუნი და ხატისოვი; ს.-რევოლიუციონერებისაგან ჩიკალინი; მუსულმანთა სოციალისტურ ბლოკისაგან—იბრაგიმ განჯინსკი; „იხინტილი“-დან (მუსულმანები რუსეთში) — მეხტიევი; გუმეტისაგან—შეიხ-ულ-ისლამოვი; ნაც.-დემოკრატებისაგან — გვაზავა და ს.-ფედერალისტებისაგან—გ. ლასხიშვილი. ამასთან კომისიამ შეიმუშავა შემდეგი რეგლამენტი (კითხულობს): 1) დელეგაცია გამოდის, როგორც ერთი მთლიანი, თავის თავმჯდომარეს საშუალებით, ან განსაკუთრებით, ყოველ ცალკე შემთხვევის დროს რწმუნებული პირი გამოდის სეიმის მიერ მიღებულ ძირითად დებულებების საზღვრებში და არავითარ სეპარატიულ გამოსვლას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

2) დელეგაცია დაწვრილებით ცნობებს აწვდის სეიმს მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ და ყოველ მნიშვნელოვან საკითხის დროს სეიმის წინასწარი ნებართვა უნდა ითხოვოს.

ამ გვარათ დელეგაცია არჩეულია სახელმძღვანელოთ, რეგლამენტი შემუშავებული და იმედი გვაქვს დელეგაცია შეასრულებს სეიმის მიერ დავალებულ საქმეს—ათავებს რამიშვილი.

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას აერჩიათ კომისიები, უპირველეს ყოვლისა სამეურნეო მომწესრიგებელი კომისია. ნ. ჟორდანიას წინადადება შეაქვს აირჩიონ საფინანსო, სამხედრო, აგრარული, სასურსათო, მუშათა, საეროვნო და სხვა კომისიები. აირჩიეს მხოლოდ სამეურნეო გამწესრიგებელი კომისია შვიდი კაცისაგან, დანარჩენი კომისიების არჩევა შემდეგ კრებისთვის გადაიდო.

არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატ მენშევიკებისგან ბერშტეინი, გუმეტისაგან ჯიბლაძე, ს.-რევოლიუციონერებისაგან—იუნატოვი; დაშნაკცაკანებისაგან ამასპიური; მუსავატისაგან მალიკ-ბეგოვი და სხვა.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას აირჩიონ თავმჯდომარეს ამხანაგი. ორი წინადადება შემოდის აირჩიონ სამი და ორი ამხანაგი. კენჭის ყრით კრება ღებულობს (66 ხმით) აირჩიონ ორი ამხანაგი. ს.-რევოლიუციონერებს განცხადება შეაქვთ, რომ თავმჯდომარეს ამხანაგების არჩევნებში მათი პარტია მონაწილეობას არ მიიღებს. აირჩიეს აგაევი და ტიგრანიანი. დანარჩენი კომისიების არჩევა შემდეგისთვის გადაიდო და კრებაც დაიხურა.

არა ჩვეულებრივი კრება.

18 თებერვალი.

თუმცა შემდეგი კრება დანიშნული იყო 19 თებერვლისთვის და თითქოს დეპუტატებს კვირას ერთი დღე უნდა დაესვენათ, მაგრამ ყველაზე მეტი მუშაობა ამ დღეს შეხვდათ.

დილიდანვე ფრაქციებს განუწყვეტელი კრება ჰქონდათ და ბოლოს გადასწყვიტეს საღამოს 5 საათისთვის მოეწვიათ სეიმის არა ჩვეულებრივი კრება. ეს გაცხარებული მუშაობა და არა ჩვეულებრივი კრების მოწვევა გამოიწვია შაბათს მიღებულმა რადიო ტელეგრამამ; აქ სეიმმა აირჩია დელეგაცია, შეიმუშავა პირობები და აპირებდა ოსმალეთთან ზავზე მოლაპარაკების დაწყებას, რომ ამ რადიო ტელეგრამამ აცნობა, რომ სახალხო კომისარების საბჭომ უკვე გადასწყვიტა ამიერ-კავკასიის ბედი და შეჰკრა ოსმალეთთან ზავი მის ხარჯზე, გადაუბოძა ბათუმი, ყარსი და არდაგანი. და სწორეთ აი ამ დეპეშამ სასწრაფო და ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი დაუყენა სეიმს.

საღამოს ხუთ საათზე სასახლის თეთრ დარბაზში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი და ყველას რაღაც აღელვება ეტყობოდა. დეპუტატები არსად სჩანდენ, ფრაქციებს კრება ჰქონდათ. როგორ იქნა ღამის 10 საათზე გაიხსნა კრება.

თავმჯდომარე. პრეზიდიუმმა და ფრაქციების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს მოისმინოს კრებამ ამიერ-კავკასიის მთავრობის წარმომადგენელისგან ცნობა ბრესტ-ლიტოვსკში შეკრულ საზავო პირობების შესახებ.

ტრიბუნაზე ადის ევ. გეგეჭკორი.

გეგეჭკორი. მოქალაქენო — სეიმის წევრნო! ჩემი განცხადება მინდა გავსაზღვრო იმ რადიო დეპეშის წაკითხვით, რომელიც გუშინ მივიღეთ. დეპეშის შინაარსი ასეთია: (კითხულობს) „21 თებერვალს წამოყენებულ ულტიმატუმთან ერთად აგრეთვე ულტიმატუმური ვადა მოგვცეს. ამის გამო და აგრეთვე იმისი, რომ ნემცებმა უარი სთქვეს პირობაზე ხელის მოწერამდე შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედება, ჩვენ გადავსწყვიტეთ ხელი მოგვეწერა ამ პირობებზე: ყველაზე მეტად სერიოზული იყო ამ პირობებში თითქოს ხალხის თვითგამორკვევის სახით ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქების გადაცემა. კარახანი“.

ასეთი დეპეშა მივიღეთ გუშინ საღამოს ექვს საათზე. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის — ამიერ-კავკასიისთვის და მას არ შეეძლო ჩვენში არ გამოეწვია ულრმესი ზიზღი და აღშფოთება იმ პირების მიმართ, რომლებმაც დაღუპეს რუსეთი და განიზრახეს ჩვენი დაღუპვაც, ჩვენდა დაუკითხავათ გადასწყვიტეს ჩვენი ბედი, ჩვენდა დაუკითხავათ ამიერ-კავკასიას ჩამოაშორეს მისი ორგანიული ნაწილები. გუშინ ყველა ფრაქციების წარმომადგენლების და კომისარიატის კრებამ შეადგინა დეპეშა, რომელიც გაეგზავნა ბრესტ-ლიტოვსკში, ბერლინში, ვენაში, პარიზში, ლონდონში, ნიუ-იორკში და სხვა. დეპეშის შინაარსი ასეთია: „ამიერ-კავკასიის მთავრობა სეიმის გადაწყვეტილების თანახმათ სცნობს, რომ ბრესტ-ლიტოვსკში დადებულ ზავის ხელშეკრულობას, მის შეუტყობინებლათ არავითარი ძალა არა აქვს. ამიერ-კავკასიის სეიმმა აირჩია დელეგაცია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პირობები და შეჰკრას ზავი ოსმალეთთან“. ეს დეპეშა უკვე გავგზავნეთ დანიშნულებისამებრ.

ნებდა. აქედან გაუვარდათ ინგუშებს ცუდი სახელი ბოროტი ყარაულების. მე გამახსენდა, რომ ასეთივე ისტორია და ამავე მიზეზით დატრიალდა ელისავეტოპოლის გუბერნიაში, სადაც თათრებმა რუსის სოფლები აყარეს და გამოისტუმრეს. ისინიც მათს მთასა და ბარს შუა იყვენ ჩახიზნულნი და ამით ავიწროვებდენ. თვითმპყრობელობის უგუნურმა, პოლიციურმა პოლიტიკამ ბევრი ბოროტება დასთესა და ახლა ხშირათ სრულიად უდანაშაულო, მისგან გაბრიყვებული გლეხი ხდება ამ ბოროტების მსხვერპლი.

ეს არ უნდა დაივიწყონ იმათ, ვინც ჩვენში დღევანდელ ცხოვრების ზოგიეთ ბნელ მხარეების დაფარებას ცდილობს... ერთგვარ პოლიტიკას გათიშვისა და შევიწროვებისას ყველგან ერთგვარი შედეგები მოყვა—ნიკოლოზის ტახტის დანგრევის შემდეგ...

თავისთავათ კი ეს ხალხი არც ისე ბოროტია, როგორც მას გვიხატავენ. არც ამიერ-კავკასიის თათრები, არც ინგუშები კაცთა მჭამელებს არ წარმოადგენენ. ისინი მხოლოდ შეუგნებელ პასუხს აძლევდენ ძველათ დათესილ ბოროტებაზე.

როცა ორი დღის შემდეგ გამოვეშურეთ კავკავიდან თფილისამდე, „პრახადნოე სვიდეტელსტვოებით“ აღჭურვილნი, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამ მთიელ ხალხს სიტყვის ასრულება ცოდნია, ყველგან ყარაულები გვხდებოდენ. ზოგან თან გვატანდენ მცველებს, რადგან გზაში შესაძლებელია ყაჩაღათ გავარდნილნი დაგესხან თავსო. ავტომობილებში ეძებდენ იარაღს. აკრძალულია წაღებაო.

ჩვენი დელეგაცია რამდენიმე ავტომობილით წამოვიდა. დოკუმენტები წინა ავტომობილში იყო.

ჩვენ კი მათ რამდენიმეთ ჩამოვრჩით. მარა უდოკუმენტოდაც იოლათ გამოვდიოდით. ინგუშებთან საკმაო იყო ქართულათ ლაპარაკება, რომ მათ მაშინვე ეთქვათ: „გურჯი-გურჯიო“ და გაუჩხრეკელი დავეტოვებინეთ. ჩვენზე შემდეგ კიდევ იყო დარჩენილი ერთი ავტომობილი, რომელმაც გამოსვლა დაიგვიანა და მისთვის ვართმევდით სიტყვას, გამოუშვით, არაფერი დაუშავდეს მეთქი. მართლაც მათთვის ხელი არ ეხლოთ და არც დოკუმენტები მოეთხოვათ.

გზაში ყარაულებმა გადმოგვცეს, ჩვენ სოფელმა დაგვაყენა, უნდა დარიალამდე წესი დავიცვათ, რომ გზა არ შეიკრასო. დღეს ცნობა მოგვივიდა 11 ყაჩაღი დადის ამ გზების გარშემო და ამიტომ მზვერავები გვყავს მთელ გზაზე ჩვენც გაგზავნილიო.

მშვიდობით გადავრჩით და თოვლით დაფენილ კავკასიონის მთის მწვერვალების სიმშვენიერით გატაცებული ისე ჩამოვიარეთ ყველა სადგურები, რომ ხალხისკენ არც კი მიგვიხედია. მიმზიდველი და აღტაცებაში მომყვანი ბუნება ამ მთაგრეხილების, შიგ დაკლაკნილი გზები, გზა და გზა გვირაბები— ყველა ეს პირველათ ვნახე და მთელი საათობით გაშტერებული მივჩერებოდი ბუნების ცვალებადობას, სილამაზეს. საუცხოვოა ეს მიდამოები.

როცა თფილისის გუბერნიის მიჯნას გამოვცდით, არა ერთმა წამოიძახა: აწი არაფერი გვიშავს... ავსცდით რუსეთის ანარქიის ცეცხლს, ამიერიდან წესიერების ქვეყანაში ჩავედითო.

მე კი მხოლოდ ფასანაურში ვიგრძენ, რომ საქართველოში ვიყავი, როცა სასტუმროში არც პური დაგვხვდა, არც ხორცი, არც ჩაი და სამოვარი. ისევ ჩვენ საკუთარ გაყინულ საგზალს შევექეცით. ჩაის მოსადუღებელი ჭურჭელიც გვქონდა და იმით გავითბეთ ძვლები. იქ გავათიეთ ღამე. და მეორე დღეს ესე იგი 2 თებერვალს შემოვედით თფილისში, რომ სრული სიმშვიდე აქაც არ დაგვხვდა, ეს მკითხველმაც იცის. ჩვენი დელეგატები ოხუნჯობით ამბობდენ: ჩვენ სადაც მივალთ, ყველგან სამოქალაქო ომი და თოფის სროლა ატყდებაო. სამწუხაროთ ეს ოხუნჯობა ძალიან დაახლოვებული გამოდგა სინამდვილესთან.

რ. ა.

შემდეგ მე ვსთხოვე ბათუმის კომენდანტს, რომ რადიო დეპეშით გარდაეცა ტრაპიზონში ვეხიბ-ფაშასთვის, რომ ჩვენი დელეგატები მზათ არიან და წავლენ ტრაპიზონში, ბათუმის კომენდანტმა გვაცნობა, რომ ტრაპიზონთან დამოკიდებულება სრულიად შეწყვეტილია და დეპეშას დღეს გავგზავნი კაცის ხელით და ხვალ პასუხს მოვიტანსო. ამიტომ დელეგაციამ წასვლა გადასდო სანამ პასუხს მივიღებდით.

ამ გვარათ ამიერ-კავკასიის მთავრობას არ შეეძლო პასუხი არ გაეცა იმ სამარცხვინო ფაქტზე, რომელიც ჩვენს შესახებ მოხდა. ეხლა თქვენზეა დამოკიდებული მოიწონებთ ჩვენს მოქმედებას თუ არა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვეძლო სხვაფრივ მოვქცეულიყავით, რომ პირნათლათ შეგვესრულებია ჩვენი მოვალეობა.

ნ. ჟორდანია. მოქალაქენო, სეიმის წევრნო! გუშინ ჩვენ გადავსწყვიტეთ შეგვეკრა ზავი ოსმალეთთან და ავირჩიეთ სამშვიდობო დელეგაცია. ეს დადგენილება იმას ნიშნავდა, რომ სეიმს სურდა დამოუკიდებლათ დაეწყო მოლაპარაკება ოსმალეთთან. გუშინდელი დეპეშა ამბობს, რომ ჩვენდა დაუკითხავათ და ჩვენ ხარჯზე შეუკრავთ ზავი, ეს სეიმის დადგენილების პირდაპირი დარღვევაა. ამიერ-კავკასიის კომისარიატი ამ შემთხვევაში სწორეთ მოიქცა, ამიტომ წინადადებას გაძლევთ მიიღოთ მორიგ საქმეებზე გადასვლის შემდეგი ფორმულა: „მოისმინა რა ამიერ-კავკასიის კომისარიატის განცხადება, სეიმი იწონებს მას და გადადის მორიგ საქმეებზე“.

კრება ერთხმათ ღებულობს ჟორდანიას ფორმულას.

შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს ახალქალაქიდან მოსულ დეპეშას, რომ თათრებმა სოფლებს ალყა შემოარტყეს, ხალხს იარაღი აჰყარეს და თხოულობენ საჩქარო დახმარებას. წინადადებას აძლევს კრებას აირჩიოს დელეგაცია.

ჩხენკელი აცხადებს, რომ თავმჯდომარეს მიერ წაკითხულ დეპეშის გარდა არავითარი ცნობა არ არის და წინადადებას იძლევა აირჩიონ სამი ეროვნებისაგან დელეგაცია, ქართველების სომხების და თათრებისაგან.

პეპინოვი კითხულობს დეპეშას ახალციხიდან თათრებმა დელეგატები ტყვეთ წაიყვანეს და თხოულობენ დახმარებას მათ განსათავისუფლებლათ. ის მხარს უჭერს თავმჯდომარეს წინადადებას აირჩიონ დელეგაცია.

ნ. ჟორდანია წინადადებას იძლევა, რადგან ასეთ ამბებს ხშირათ ექნება ადგილი და საჭირო იქნება მუდმივი დამოკიდებულება პროვინციასთან, აირჩიონ მუდმივი ორგანო.

თავმჯდომარე აქვეყნებს ს.-რევოლიუციონერების განცხადებას, რომ განჯის ახლოს მიმავალ ეშელონებსა და თათრებს სასტიკი შეტაკება აქვთ და თხოულობენ აირჩიონ დელეგაცია იქ გასაგზავნათ.

იუნატოვი (ს.-რ.). განჯაში სისხლი ილვრება, საჭიროა სწრაფი ზომების მიღება, რომ იქ შამქორის ამბები არ განმეორდეს. ვსთხოვთ ამიერ კავკასიის მთავრობას გვაცნობოს რა ცნობები აქვს ამის შესახებ.

ჩხენკელი. განჯაში შეტაკების შესახებ მივიღეთ დეპეშა, რომ განჯიდან სამ ვერსზე ეშელონებმა გააჩერეს მატარებელი და დაიწყეს ბრძოლა. თოფების და ტყვიისმფრქვევლებს ისვრიან. მუსულმანთა ინტელიგენციამ სასწრაფო ზომები მიიღო დაიცვას ქალაქი, საიდგანაც ბრბო დაიძრა. ზომებს ღებულობენ, რომ სადგურზე არ მოხდეს სისხლის ღვრა. თათრები ყველგან იხევენ და სახლებში აფარებენ თავს. ამის მეტი არავითარი ცნობა აღარა გვაქვს, რადგან განჯასთან დამოკიდებულება არ არის. ანარქია ფართეთ იკიდებს ფეხს, ამიტომ ჩემის აზრით საჭიროა დაისვას საკითხი ანარქიის შესახებ და აირჩიოთ კომისია.

წინადადება შეაქვთ აირჩიონ 7, 13, 14 და 21 კაცისაგან შემდგარი კომისია.

ნ. რამიშვილი. ს.-დემოკრატ მენშ. შემოაქვთ ფრაქციის სახელით წინადადება აირჩიოთ 21 კაცისაგან შემდგარი კომისია, რადგან მას დიდი სამუშაო ექნება, რადგან საჭირო იქნება ხალხის პროვინციებში გაგზავნა. რასულ ზადე წინადადებას იძლევა აირჩიონ კომისიაში 7 კაცი.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს რამდენი კაცი აირჩიონ კომისიაში. ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს აირჩიონ 21 კაცი.

რამიშვილი აცხადებს, რომ ს.-დ. ფრაქცია ირჩევს 6 კაცს, ჩიხლაძეს ახუნდოვს, გეგლოშვილს, ხომერიკს, ის. რამიშვილს და აბაშიძეს.

ს.-რევოლიუციონერებმა დაასახელეს იუნატოვი, გობეჩია და ჯაფაროვი, დაშნაკცაკანებმა არზუმანოვი, ამასპიური და ხაჩიკიანი. მუსავატმა—სეიდოვი, რუსტამბეკოვი და მელიქ ასლანოვი. ყველა დასახელებული პირნი ამორჩეულ იქნენ. კრება დაიხურა ღამის 11 საათზე.

სოც.-დემ. პარტიაში

ტფილისი. 15 თებერვალს შესდგა მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. ამხ. ი. ირემაშვილის თავმჯდომარეობით. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება ტფილისის კომიტეტისა; მოხსენება ფინანსიურ კომისიისა, საერთო პარტიული კრების მოწვევა და წითელი გვარდია.

ტფილისის კომიტეტის ორი კრების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. თალაკვაძე, უკანასკნელ კრების შესახებ ი. ირემაშვილი. ამხ. გლახოიანცი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ზოგიერთი მოწინავე პირები ჩაეწერენ წითელ გვარდიაში და გულგრილათ ეკიდებიან პარტიულ მუშაობას. ამის შესახებ ვრცელ სიტყვას ამბობს ამხ. ი. ირემაშვილი. მას შესაძლებლათ და საჭიროთაც მიაჩნია დღევანდელ პირობებში მოწინავე პირების წითელ გვარდიაში ჩაწერა. რაიონის კოლექტივის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ კ. თალაკვაძე. იგი აღნიშნავს, რომ კოლექტივის შემოსავალი გაცილებით ცოტაა, ვინემ გასავალი. დასასრულ კრებამ იქონია მსჯელობა სასურსათო საკითხის შესახებ და დაავალა ერთ თავის წევრს აღძრას ეს საკითხი ტფილისის კომიტეტში. **ნა.**

მუშათა შორის

ტფილისი. 15 თებერვალს მოხდა თათბირი შრომის კომისარიატთან. თათბირს გადამჭრელი ხმას უფლებით დაესწრო სავაჭრო-სამრეწველო კლასის 3 წარმომადგენელი. სხდომის დაწყებისას შრომის კომისარის ამხანაგი აცხადებს, რომ მალე შემუშავებულ იქნება უმუშევრობისაგან დაზღვევის კანონპროექტი, რომელიც წარედგინება სეიმს დასამტკიცებლათ.

განხილულ იქნა საკითხი ხელზე მოსამსახურეთათვის 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კავშირში ეს საკითხი ირჩეოდა ჯერ კიდევ წარსული წლის ივლისში, გაფიცვის შესახებ საკითხის განხილვის დროს.

ხელზე მოსამსახურეთა ჩამორჩენილობა და განუვითარებლობა აიხსნება იმ მძიმე პირობებით, რომელშიაც მათ უხდებათ მუშაობა. მთელი დღე და ღამის განმავლობაში „ბატონისა“ და „ქალბატონის“ განკარგულებაში არიან. ამიტომ მათ სრულებით არ რჩებათ დრო, რომ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კულტურულათ განავითარონ თავის თავი. ხსენებულ მუშათა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთათ ერთი საშუალება მუშების გასავითარებლათ არის 8 საათის სამუშაო დღის შემოღებაო. თათბირის წევრები და მრეწველთა წარმომადგენლები აღნიშნავდენ ამ ზომის განხორციელების სიძნელეს ოჯახის მეურნეობის მრავალფეროვანობის გამო. თათბირმა მაინც შესაძლებლათ სცნო ხელზე მოსამსახურეთათვის 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და აღიარა მისი სიმტკიცით დაცვა. მიღებულ იქნა შემდეგი 3 დებულება: 1) სამუშაო დღის დასაწყისს და ბოლოს აწესებს ორივე მხარე; 2) შეთანხმების გზით წესდება აგრეთვე, თუ რამდენი ხნით უნდა შეწყდეს მუშაობა დღის განმავლობაში; პროფესიონალურ კავშირებს ენიჭება კონტროლიორის როლი; 3) კვირაში ერთი დღით სავალდებულო დასვენება წესდება ორივე მხარის შეთანხმებით.

დაწესებულებათა, განსაკუთრებით ლითონის დამმუშავებელ წარმოებათა ლიკვიდაციის შესახებ მოხსენებით განცხადება შემოაქვს ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელს ამხ. სლუცკის. ქარხნები ერთი მეორეზე იხურება სათბობი მასალის, ლითონის და შეკვეთების უქონლობის გამო. არც ერთი დაინტერესებული დაწესებულება საჭირო ზომებს არ იღებს. ქალაქის საბჭოს სალიკვიდაციო კომისია ვერ აღწევს მიზანს, ვინაიდან მის განკარგულებაში არ არის საჭირო საშუალება და მრეწველებიც ბოიკოტს უცხადებენ მას. ფაბრიკის პატრონი ეფიანჯიანცი აცხადებს ჩვენ იმისთვის უცხადებთ ბოიკოტს სალიკვიდაციო კომისიას, რომ ქალაქის თვითმართველობას არა აქვს უფლება მოაწესრიგოს ვაჭრობა მრეწველობა და თან მოსამსახურეთა ჯილდოს ნორმაც ძალზე დიდია. საჭიროა მოწესრიგდეს ვაჭრობა მრეწველობა, მაგრამ აქ უნდა ვხელმძღვანელობდეთ სახალხო მეურნეობის და არა მუშების კლასიურ ინტერესებითო. მეორე ფაბრიკანტი კორსუნსკი ქარხნების დახურვის მიზეზათ ასახელებს: 1) სამხედრო შეკვეთების შეწყვეტა; 2) სათბობი მასალის უქონლობა; 3) ძალზე დიდი ხელფასი.

თათბირმა აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა დაწვრილებით განიხილოს საკითხი დაწესებულებათა ლიკვიდაციისა და კონტროლის შესახებ.

პროვინცია

გარე კახეთი. ს. ზიარის მცხოვრებმა შაქრომ, მეტ სახელათ „ლოჭომ“ შეადგინა ყაჩაღთა ბრბო შვიდი კაცისაგან და შეუდგა ძარცვა-გლეჯას განსაკუთრებით ქიდალის და წინანდლის რაიონებში. სხვათა შორის მოჰკლეს ს. ყვარელში ვანო გეგიტაშვილი და წაიღეს მისი ვინტოვკა. თელავ-სიღნაღის მაზრებში ყაჩაღების წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისია მოულოდნელათ წააყდა ვაჩნაძიანის სადგურთან ზემო აღნიშნულ ყაჩაღებს. ხან მოკლე სროლის დროს მოკლულ იქნა ყაჩაღთა უფროსი შაქრო (ლოჭო) და ერთი მისი ამხანაგი; ერთიც დაიჭრა, დანარჩენებმა მოასწრეს გაქცევა დაჭრილითურთ. მილიციონერების მხრით სასიკვდილოთ დაიჭრა დათა ხარებაშვილი (ზაუტაშვილი) და სუბუქათ შალიკა სატიაშვილი. იმავე დროს საგანგებო კომისიამ სოფ. კალაურში დაატუსაღა აღნიშნულ ყაჩაღების აგენტები—რვა კაცი. გარდა ამისა, ამას წინათ სოფელ გავაზში ღამით ვანო ვაპოაშვილს თავს დაესხა ვინტოვკებით შეიარაღებული 6 ყაჩაღი. წაიღეს რაც კი სახლში აღმოჩნდა და რამდენიმე ასი მანეთი. იმავე საგანგებო კომისიამ შეიპყრო სამი ყაჩაღი: ერთი შეპყრობილთაგანი აღმოჩნდა სამი დღით განთავისუფლებული ქართულ პოლკის ჯარისკაცი ლევან მატოაშვილი; მეორე—გლეხი სოფ. კალაურიდან ვინმე ყაჩიაშვილი, მესამე—რუისპირელი გლეხი აბელა მებურიშვილი. შეპყრობილნი გამოტყდენ დანაშაულში და გასცეს აგრეთვე დანარჩენი სამი ამხანაგი, რომელნიც უკვე შეიპყრო კომისიამ. ორი მათგანი ქართულ პოლკის ჯარისკაცი აღმოჩნდა.

თუქურმიშიდან (Царскіе колодцы) სამხედრო ნაწილების წასვლის შემდეგ სახელმწიფოს მთელი ავლა დიდება უპატრონოთ დარჩა, რომელსაც თავს დაესხენ ს. მიხაილოვო-ბაისუბანთელა-ქობალოს მცხოვრებნი და დაიტაცეს. საჩქაროთ აცნობეს ეს ამბავი ტფილისში აკ. ჩხენკელს, რომლის განკარგულებით თელავიდან გაგზავნილ იქნა ქართულ პოლკის ჯარისკაცთა რაზმი, რომელსაც გზადაგზა შეუერთდება მილიციონერთა რაზმები. ყველა ამათ ევალებათ დატაცებული საქონლის მოძებნა.

3 იანვარს ახაშნის ბოლოზე იპოვეს თავ-მოჭრილი ახაშნის მცხოვრები სიკო ბეგაშვილი. მკვლელი აღმოჩნდა ამავე სოფლის მცხოვრები ჯარისკაცი ილიკო ზურაბაშვილი, რომელიც გამოტყდა თავის დანაშაულში.

კახეთში მიწებისა და ვენახების დამუშავება კარგათ მიმდინარეობს, რასაც ამინდებიც ხელს უწყობს. მობილიზაციის გამოცხადებას ჯერ-ჯერობით უკმაყოფილება არ გამოუწვევია.

11 თებერვალს მოხდა ველისციხის შემნახ.-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა ჩვეულებრივი წლიური კრება. წმინდა მოგება უდრის 53,823 მან., რომელიც განაწილდა შემდეგ ნაირად: სათადარიგო თანხისთვის—5,382 მ., საკუთარ ძირითად თანხისთვის 21,528 მ., ქონების აღსადგენათ—500 მ., ველისციხის სამკითხველოს—150 მ., ჩუმლაყის სამკითხველოს—100 მ., მევენახეთა ბიუროს—300 მ., კოოპერატივთა საბჭოს—100 მ., შენობისთვის—2,000 მ., ეროვნულ საბჭოს—100 მ. 50 კ., ბარბარე ტერ-ნერსესოვას სახლის დასაფარავათ სესხიდან—40 მანეთი, გაბრიელ ნადირაშვილს 10 მ., იასონ ჭეჭუკაშვილს 3 ფუთი, ხორბალის ფასი, ტასო კვერნაძეს 3 ფ. ხორბალის ფასი, რაჟდენ პაპოაშვილის ცოლს 3 ფუთი ხორბალი და ევა ოსოშვილს 3 ფ. ხორბ. ფასი. საკუთარ ძირითად თანხისთვის დარჩა 1445 მან. 21 კ. გარდა ამისა ყველა მოსამსახურეებს გაუდიდეს ჯამაგირები ორასი პროცენტით. **ჯიბილა.**

ჯოლევი (სამეგრელო). აქ გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო და მომხმარებელი საზოგადოება „მომავალი“: თუმცა პირველად ბიბლიოთეკის საქმე ცუდათ იყო, მაგრამ ბოლო დროს საქმე ცოტათი გაუმჯობესდა. სამაგიეროთ ცუდ მდგომარეობაშია პირველ დაწყებითი სკოლა. თუ მას ჯერ კიდევ სული უდგას, ეს მასწავლებელ კონდრატე ყურაშვილის წყალობით. ის მასწავლებლობს აქ 1916 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში დიდი ღვაწლი დასდო სკოლას. მასწავლებლათ არიან კონდრატე ყურაშვილი და გაბუნია. აუტანელ მდომარეობაში იმყოფებიან იგინი მოწაფეთა სიმრავლით და ბინის სივიწროვის გამო. გაბუნიას აბარია ოთხმოცზე მეტი მოწაფე, რაიც ერთი მასწავლებლისთვის აუტანელია. მიუხედავათ იმისა, რომ აღნიშნულ მასწავლებლები ერთგულათ მუშაობენ, შეიძლება სწავლა-აღზრდის საქმე სკოლაში შეფერხდეს. საჭიროა ეხლავე ზომების მიღება: გააფართოონ სკოლის შენობა და დაინიშნოს მესამე მასწავლებელი. **აბაშისპირელი.**

სოფ. ბაილეთი (გურია). ეს სოფელი მდებარეობს ოზურგეთიდან 7 ვერსის მანძილზე. სასოფლო გზები ჯოჯოხეთს მოაგაგონებს ადამიანს, ღმერთმა დაგიფაროს აქ მგზავრობა, მეტადრე ზამთარში. ურმით და ცხენითაც კი შეუძლებელია გავლა. ამის გამო სოფელში ექიმის მოყვანა მოუხერხებელი გამხდარა. ამ სოფელს ახლავს ახლოს ს. ჭანიეთური, რომელიც კიდევ უარეს გასაჭირშია უგზოობის გამო. მცხოვრებთა შორის ხშირათ იმართება ხოლმე კამათი გზების გაკეთების შესახებ, მაგრამ ყოველთვის თავს წამოყოფს კუთხური შენჩემობა, ქიშპობა, რაც ხელს უშლის შეთანხმებულ მუშაობას. საჭიროა დაუყონებლივ იქნას შემოღებული ერობა და შეიძლება მაშინ ჩვენს სოფელსაც, ეშველოს რამე.

აქ ახლაც, ამ რევოლიუციის დროსაც თითქოს სძინავთ და არ უნდათ დაინახონ თუ რა ხდება გარშემო. სოფლის სასარგებლოთ იოტის ოდენაც არა გაკეთებულა. ამის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ არა მკითხე ვაჟბატონების საქციელი, რომლებიც ისედაც ტანჯულ გლეხობას ცრუ სოციალისტებათ მოევლინენ. ეს დონკიხოტები სოფელს შეკავშირების მაგიერ ორ ბანაკათ ყოფდენ თურმე. ნაცვლათ ორგანიზაციული მუშაობისა გლეხობაში, მათ სრული დეზორგანიზაცია მოუხდენიათ. ერთი სიტყვით, ამ ცრუ ბელადებზე თქმულა ხალხური ანდაზა: სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოვო. დიახ, ჩვენ ვამბობთ, ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა, რომ ასეთ მავნე ელემენტებს ხელი არ შეეშალათ. ამ ჟამათ განზრახული აქვთ გახსნან პირველ დაწყებითი ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა, არჩეულია სკოლის საბჭო, მიღებულია საჭირო ზომებიც. **პ. ბაილეთელი.**

ხ. ვაკიჯვარი (გურია). 12 თებერვალს შესდგა ვაკიჯვრის მომხმარებელ საზოგადოების „ერთობის“ წევრთა წლიური კრება. განსახილველი და დასამტკიცებელი იყო 1917 წლის ანგარიში. 1917 წლის წმინდა შემოსავალი უდრის 13327 მ. 24 კ. ეს ანგარიში კრებამ დაამტკიცა, ენერგიული მუშაობისათვის გამგეობა იქნა დაჯილდოებული 825 მანეთით, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებს მღ. ექვთიმე თოდრაძეს და ხარიტონ ჭელიძეს გამოეცხადა მადლობა. მოლარე ქალს კრება ასაჩუქრებს 50 მანეთით, ამავე მოგებიდან კრებამ გადასდო ვაკიჯვრის სახალხო სახლის ფონდისთვის 5000 მან., ნატანების წყალზე ხიდის გასაკეთებლათ 1000 მან., ადგილობრივ აბანოს ფონდისათვის 2700 მ. ვაკიჯვრის სამკითხველოსათვის 500 მან. ბახვის ფოსტა-ტელეგრაფისათვის 500 მან., სათადარიგო თანხისათვის 2500 მ., ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიისათვის 200 მან. ინწკირველის ქალს დახმარება 52 მან; შემდეგ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებმა მოითხოვეს მათი განთავისუფლება, მაგრამ კრების თხოვნით ისევ დარჩნენ თავის თანამდებობაზე. აირჩიეს მხოლოდ ახალი წევრი ვლადიმერ გიორგაძე. **შავი.**

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. 17 თებერვალს სახ. სახლთან არსებულ ქართ. წარმ. მმართვ. წრის მიერ წარმოდგენილ იქნა ი. გედევანიშვილის სამ მოქმედებიანი დრამა „მსხვერპლი“.

მე აქ არ შევუდგები პიესის შინაარსის გადმოცემას, ვინაიდან მას კარგათ იცნობს ჩვენი მკითხველი საზოგადოება. რაც შეეხება თვით პიესის შესრულებას, ღირსება-ნაკლოვანებას, ამ მხრივ ჩვენი სცენა უნუგეშო მდგომარეობაშია: ბევრ მსახიობს არამც თუ ამა თუ იმ როლებში შესაფერ მიმიკის, სახის გამომეტყველების მიღება, გმირის სულისკვეთების განცდა და მისი საზოგადოებაზე შთაბეჭდილების მოხდენა, სიტყვების და მოძრაობის ჰარმონიულათ შეწყობაც კი ვერ მოუხერხებიათ. ზედმეტი ხელის ქნევა და უადგილო აღშფოთება ხშირათ ეტყობა ბ. თავდგირიძეს. ამისთანა მაგალითები ბევრია, მაგრამ იმედი გვაქვს გამოწვრთნილ მსახიობების ზეგავლენით, როგორიცაა მაგ. ნ. გოცირიძე, საქმე გამოუმჯობესდება და ხელოვნების მოტრფიალეთა წრე პირნათლათ შეასრულებს თავის დანიშნულებას. **გედეონი**

P. S. როგორც აფიშებში და გაზეთებში იყო გამოცხადებული წარმოდგენა უნდა დაწყებული 7 საათზე, მაგრამ 8 ნახ. საათზე ძლივს ვეღირსეთ თეატრის დარბაზში შესვლას. გადახედავ საზოგადოებას თუ არა ჩვეულებრივათ გული გიამდება: აქ ვერ ხედავ ფარჩეულებში გამოწყობილ ფუფუნების მოტრფიალეებს, როგორც ქართულ კლუბში. თეატრის დარბაზში ჩაგრულ დემოკრატიას მოუყრია თავი. მაგრამ გახარებული გული სევდით გევსება, როცა აქ, ამ დემოკრატიის ტაძარში, ხედავ უწესობას. ქანდარაზე ბევრი თუთუნს ეწევა. ერთ ჯარისკაცს პირში პაპიროზი აქვს, ხელში ვინტოვკა უჭირავს და „ხატვორის“ წკარა-წკური მოისმის... და ყველა ეს წარმოდგენის დროს... უშვერ სიტყვების გადასროლა და ამით აუდიტორიაში აურ-ზაურის გამოწვევა ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა ნათქვამია: „კუზიანს საფლავი გაასწორებსო“, მაგრამ ისიც უთქვამთ „ცდა ბედის მონახევრეაო. საჭიროა თეატრის ადმინისტრაციამ თავიდსვე მიაქციოს ამ არა სასურველ მოვლენებს სათანადო ყურადღება და ძირშივე აღმოფხვრას იგი თუნდა ამისთვის ფიზიკური ძალაც კი დასჭირდეს, საჭიროა აგრეთვე თვით შეგნებულმა მსმენელებმა შეუწყონ ხელი წეს-რიგის დაცვას და ალაგმონ თავგასული ვაჟბატონები, რომლებსაც დაუკარგავთ ყოველგვარი რიგიანობის გრძნობა. **გ--ნი.**

სახალხო სახლი
სახალხო სახლ. არსებულ ქარ. წარმოდ. მმართველი წრე. ოთხშაბათს 21 თებერვალს 1918 წ წარმოდგენილი იქნება
მეზობლები
დრამა 4 მოქმ. ტ. რამიშვილისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი არჯევანიძე, ელ. ბარათაშვილი, ნ. ნინიძე, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ან. ქილარჯიშვილი; ბ-ნნი ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, სალუქაია, ა. თავდგირიძე, ნ. ჭანკვეტაძე და მ. ჯაბაური.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე
ადგილების ფასი 1 მ. 20-დან 25 კ-დე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2 მდე და საღამოს 6—8 საათამდე.
წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. ბავშვების შეშვება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია.
შემდეგი წარმოდგენა 27 თებერვალს.
რეჟისორი კ. შათირიშვილი.
რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.
(2—1) ქ. ს. წარ. წრის ადმინისტრაცია.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მდივანოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქალი
რ. გ. შიშლო-სამაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
გ. გ. მეგრაბიანცისა
შინაგან ავადმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსონვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავადმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღებს კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავადმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი ქ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული ჰაიმორია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი
გ. დონხინი
ყოფილ იასხისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა“-ზე
ხელის მოწერის პირობები
1 თვით — 4 მან. 50 კ.
2 თვით — 9 მანეთი.
3 თვით — 13 მ. 50 კ.
6 თვით — 27 მანეთი
1 წლით — 50 მანეთი
ცალკე № ყველგან 20 კ.
ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) უთ-[illegible] უცვლელი დარჩება.
ფასის შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობა შეიცვალა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“
ამხ. და თანამშრომლებს ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ტფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წ. 20 დეკემბრის თარიღით გამოცემულ დადგენილების თანახმად წინადადებას ვაძლევთ ყველას, ვისაც აქვს საბრეშუმო სადგურის მიერ შეუმოწმებელი გრენა დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ასეთი მიმდინარე წლის 25 თებერვლამდე კავკასიის საბრეშუმო სადგურში შესამოწმებლათ.

ყველა, ვინც კი არ შეასრულებს ამ დადგენილებას და დანიშნულ ვადამდის არ წარმოადგენს გრენას სადგურში—პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი, ხოლო გრენას კი რეკვიზიციას უქმენ.

იმავე დადგენილების თანახმად აკრძალულია გრენის ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან გარედ გატანა და აგრეთვე კავკასიის საბრეშუმო სადგურის შეუმოწმებლად გრენის ბაზარზე გამოტანა და გავრცელება. (1—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო.
მიხეილის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე
იღებენ ექიმები-სპეციალისტები:
ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ექ. ვაჩნაძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ექ. კლდიაშვილი მლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.
რჩევა ერთი მანეთი, აპერაცია შეთანხმებით.

[illegible] ელ-მბეჭდავი სტამბა [illegible], [illegible] შესახვევი, № 1.